HELLO! GEORGIA

# DECOR

#01 • 2017
7.00₾

ტენდენციები

VINTAGE
WHITE & GOLD
VELVET
POP ART
ECO-FRIENDLY

## +800

იდეა ყველაზე მდიდრული
სახლების მფლობელებისგან

## Princess Gloria Trussardi
## Dolce & Gabbana
## Eva Chow
## Carolyne Roehm

ISSUN 2449-2590
9 772449 259004



www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

# ვერტიკალური ბალი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

#01 • 2017

HELLO! GEORGIA

# DECOR

გვ. 26

გვ. 14

გვ. 50

## სარჩევი


04 **გაია** და **ტომასო ტრუსარდების** თეთრი სასახლე ოქროსფერი დეტალებით

16 დები **ლაბეკების** ვინტაჟური არჩევანი

26 **ალექსანდრა დე კფაიფერის** სახლის ხავერდოვანი დიზაინი

36 **აგათა რუიზ დე ლა პრადას** ფერადი სახლი პოპარტის სტილში

52 **ელორა ჰარდის** ეკომეგობრული დეკორი

76 **იგნასიო რომერო მარტინის** სახლ-მუზეუმი

106 **დოლჩე & გაბანას** იტალიური ოაზისის „ოქროს“ ინტერიერი

134 **პრინცესა გლორიას** სასახლე როკოკოს სტილში


### ტენდენციები


14 **WHITE & GOLD**

24 **VINTAGE**

34 **VELVET**

50 **POP ART**

54 **ECO-FRIENDLY**



HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo

**რედაქცია** ლულუ კახიანი, თათია ლაშაური

**სტილის რედაქტორი** ელენე მარგალიტაშვილი

**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი

**მარკეტინგი** მარიამ ზაქარეიშვილი, ჯენი ძოძუაშვილი, ნანუკა კაკაბაძე

**დიზაინერის ასისტენტი** ნინი ოძელაშვილი

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!

**INTERNATIONAL**

**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ

**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO

**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON

**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ

**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, საჯარაშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia

Twitter.com/Hellomagazinege



**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; **www.hellomagazine.ge**



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ **HELLO!**-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გაია და ტომასო ტრუსარდები ვინტაჟურ ველოსიპედთან პოზირებენ და მილანის მახლობლად მდებარე სასახლეში გვეპატიჟებიან. ცნობილი ბრენდის შემქმნელის ნიჭიერი შვილთაშვილები 100-წლიან ოჯახურ ბიზნესს უძღვებიან.

## მოდის ინდუსტრიის მეოთხე თაობა

# გაია და ტომასო ტრუსარდები

## ბერგამოში მდებარე იტალიურ სასახლეში გვამოგზაურებენ

**მათმა დიდმა ბაბუამ – დანტემ, Trussardi-ს ბრენდი საუკუნის წინ შექმნა და ბრიტანული სამეფო ოჯახის გული მაშინვე მოიგო მას შემდეგ, მომხმარებელთა სიას ბევრი ცნობილი სახელი შეემატა**

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც TRUSSARDI-ს ბრენდი არა მხოლოდ სტილის, შინაგანი ძალის, მოდისა და ხელოვნების ნიმუშია, არამედ ოჯახური ტრადიციებისა და ერთიანობის გამორჩეულ მაგალითსაც წარმოადგენს. ტრუსარდების ოჯახის ახალ თაობას გაია, ტომასო და ბეატრისა წარმოადგენენ. ისინი იტალიურ ბრენდს გუნდურად მართავენ და ყველა გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებენ. საქმეზე პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ ძალიან ადრე, 1999 წელს აიღეს, როცა მათი მამა – ნიკოლა ტრუსარდი ავტოავარიაში დაიღუპა. ამას უფროსი ძმის – 29 წლის ფრანჩესკოს სიკვდილი მოჰყვა. სამწუხაროდ, ისიც ავარიას შეეწირა. ოჯახურმა ბიზნესმა კი ქალბატონების ხელში გადაინაცვლა...

დღეს გაია TRUSSARDI-ს კრეატიული დირექტორია, მასზე უფროსი ბეატრისა კი – ბრენდის პრეზიდენტი. მათი დედა – მარია ლუისა, უფროსი კონსულტანტის მოვალეობებს ითავსებს. რაც შეეხება ოჯახის ერთადერთ მამაკაცს – ტომასოს, ის მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელია და დაუღალავად ცდილობს ოჯახური ბიზნესი გააფართოვოს. სწორედ ამ ოთხი ადამიანის დამსახურებაა, რომ დღეს TRUSSARDI-ს მსოფლიოს გარშემო 150-ზე მეტი მაღაზია აქვს, და ბუტიკებით, გამოფენებითა და უმაღლესი კლასის რესტორნითაცაა წარმოდგენილი.

## წინარე ისტორია

TRUSSARDI ჯერ კიდევ 1911 წელს შეიქმნა. დანტე ტრუსარდის მთავარი მიზანი დახვეწილი ხელთათმანების წარმოება იყო. იმედი ჰქონდა, რომ მომხმარებელთა რიცხვში ბრიტანული სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც შევიდოდნენ. ეს იმედი მალევე გამართლდა და დღეს მის ბრენდს, მონარქების გარდა, ისეთი ვარსკვლავებიც ეტრფიან, როგორებიც ლედი გაგა და ჯესიკა ჩესტეინი არიან.

ტრუსარდების ოჯახის შემოქმედებითი ბუნება, ხელოვნების სიყვარული და ორიგინალური აქცენტები მათ საცხოვრებელსაც ეტყობა. მე-16 საუკუნეში აშენებული იტალიური ▶

მისაღებ ოთახში გაია და ტომასო ორ მწყვართან ერთად პოზირებენ. სწორედ ეს ძაღლები არიან Trussardi-ს ლოგოზე, რომელიც ნიკოლა ტრუსარდიმ 1973 წელს წარმოადგინა. „მამაჩვენი ნამდვილი ინოვატორი იყო“, – იხსენებს გაია, – „შემკვიდრეობა, რომელიც მან დაგვიტოვა, შეუფასებელია“.

**„სასახლე ნამდვილად „ტრუსარდულია“
და ტრადიციებისა და ინოვაციების მიქსს წარმოადგენს
ის წარსულისა და აწმყოს ჰარმონიული სინთეზია“**

გაია, რომელიც Trussardi-ის კრეატიული დირექტორია, ბრენდის სამოსით იწონებს თავს. მას მეტალით პერფორირებული ტყავის ჯემპრი და კრემისფერი შარვალი აცვია (მარცხნივ). კომპანიისთვის დამახასიათებელი მდიდრული ელეგანტურობა და თანამედროვე ელფერი ეტყობა მისაღებ ოთახსაც (ზევით), რომელიც ძველებური ორნამენტებითა და ხელოვნების ახალი ნიმუშებითაა გაფორმებული.

**„სასახლის მთავარი ბაღი, ფრესკები და ფრიზები ამ ადგილის მდიდარ ისტორიაზე გვიყვებიან... ხელოვნების ნიმუშები კი გარემოს თანამედროვე ელფერს სძენენ“**

სასახლიდან ბერგამოს საუკეთესო ხედები იშლება. აქ ერთმანეთს იდეალურად ერწყმის სიახლე და სიძველე, ელეგანტურობა და ულტრათანამედროვეობა, ტრადიციები და არაორდინარული დეტალები... ამ ყველაფერზე ძალიან სტუმართმოყვარე და ფოტოგენური მასპინძლები – გაია და ტომასო თავად მოგვიყვებიან.

**როგორია ამ სასახლის ისტორია?**

**ტომასო:** ეს შენობა ჯერ კიდევ 1570 წელს, ჯეროლამო გალინარიმ ააგო. მას შემდეგ ბევრჯერ გადაკეთდა. აქ მეოცე საუკუნის ფრესკებიცაა შემონახული. 1983 წელი იყო, როცა ჩემმა ოჯახმა სასახლე შეიძინა და თავისებურად განაახლა. მას შემდეგ აქაურობა მხოლოდ საცხოვრებელი კი არა, მოდის სახლიცაა.

**ინტერიერზეც ვისაუბროთ...**

**გაია:** ინტერიერი ნამდვილად „ტრუსარდულია“ და ტრადიციებისა და ინოვაციების მიქსს წარმოადგენს. სასახლის მთავარი ბაღი, ფრესკები და ფრიზები ამ ადგილის მდიდარ ისტორიაზე გვიყვებიან. ხელოვნების თანამედროვე ნიმუშები კი ისეთ მაესტროებს ეკუთვნით, როგორებიც რენატო გუტუზო, არნალდო პომოდორო, ჯორჯო დე კირიკო და რენე მაგრიტი არიან. მოკლედ, ეს გარემო წარსულისა და აწმყოს ჰარმონიული სინთეზია.

**აშკარაა, რომ სასახლე ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს ინახავს...**

საუკუნეებისწინანდელ ფრიზებსა და ფრესკებთან ერთად, სასახლეში ხელოვნების თანამედროვე შედევრებია წარმოდგენილი. მათ შორის ისეთ მაესტროებსაც შეხვდებით, როგორებიც ჯორჯო დე კირიკო (ზევით, მარჯვნივ) და რენატო გუტუზო (ქვევით) არიან. არნალდო პომოდოროს ოქროს სფერო კი მწევარის ბრინჯაოს ქანდაკებასთან ერთად დგას (მარცხნივ).

„დღეს ჩვენ მხოლოდ მოდის კი არა, იტალიის წარმომადგენლებიც ვართ. უპირველესად კი, ჩვენ ვართ ერთი დიდი ოჯახი ძვირფასი ღირებულებებით, ტრადიციებითა და ისტორიით“

**სამზარეულო მონოქრომულ სტილშია გადაწყვეტილი (ქვევით, მარცხნივ). Trussardi-მ სულ ახლახან წარადგინა ინტერიერის დიზაინის ახალი ხაზი. ამ იდეაზე ჯერ კიდევ ნიკოლა მუშაობდა, რომელსაც ბრენდის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება სურდა. ტომასოს თქმით, ტრუსარდებს განსაკუთრებულად გამოკვეთილი იტალიური გემოვნება აქვთ. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ თავს იტალიური სულისკვეთების წარმომადგენლებად.**

**ბაია:** ტრუსარდები ვეტრფით ხელოვნებას! განსაკუთრებულად ვვხიბლავს თანამედროვე შემოქმედება. შესაბამისად, კოლექციაც საკმაოდ დიდია. პირადად მე, კონცეპტუალური ნამუშევრების მოყვარული ვარ და მუდმივად ვზრუნავ იმაზე, რომ „ნიკოლა ტრუსარდის ფონდი“ თანამედროვე ხელოვანებს დაეხმაროს.

**ტომასო:** ტრუსარდებისთვის ხელოვნება ყოველთვის განსაკუთრებულად ძვირფასი იყო. ჩვენი შთაგონების წყარო მჭიდრო კავშირშია კულტურასთან, რომელსაც ოჯახის თითოეული წევრი ვეთაყვანებით. ეს, ალბათ, მამაჩვენის დამსახურებაა. სწორედ მის პატივსაცემად შევქმენით ზემოთ ხსენებული ფონდი.

**თქვენი ოჯახის ისტორიაზეც მოგვიყევით.**

**ბაია:** TRUSSARDI 1911 წელს, ჩვენმა დიდმა ბაბუამ შექმნა. 1973 წელს, მამაჩვენმა, რომელიც ყოველთვის იდეებით იყო სავსე, ბრენდის ლოგო წარმოადგინა. სწორედ ეს ლოგო იქცა ცხოვრების სტილის, მოდის, ხელოვნებისა და დიზაინის სიმბოლოდ. დღეს ჩვენ მხოლოდ მოდის კი არა, იტალიის წარმომადგენლებიც ვართ. უპირველესად კი, ჩვენ ვართ ერთი დიდი ოჯახი – ძვირფასი ღირებულებებით, ტრადიციებითა და ისტორიით, რომელიც სიძველეებსა და სიახლეებს აერთიანებს.

**რამდენად ჰგავხართ მამას?**

**ბაია:** ჩვენთვის მამა, როგორც მშობელი და როგორც პროფესიონალი, ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა. ის ნამდვილი ინოვატორი იყო და მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა, შეუფასებელია. 1980-იან წლებში ინტერიერის დიზაინის ხაზი განავითარა, რაც ჩვენც განვაგრძეთ და TRUSSARDI CASA-ს სახლის კოლექციით წარმოვადგინეთ.

**რას უკავია თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი?**

**ბაია:** ჩემს შვილებს. ვცდილობ, ყველაზე მეტი დრო მათ დავუთმო.

**ტომასო:** ჩემი პრიორიტეტებიც ოჯახსა და საქმიანობას შორის ნაწილდება. ჩემს პარტნიორსა და ქალიშვილთან ერთად ყოფნა განტვირთვასა და ენერგიის აღდგენაში მეხმარება.

**რა გეგმები გაქვთ ბრენდთან დაკავშირებით?**

**ტომასო:** TRUSSARDI-ს განვითარებას გლობალური მასშტაბით განვაგრძობთ.

**ბაია:** ჩვენი პროდუქცია იტალიური კულტურისა და ცხოვრების სტილის ანარეკლია. სწორედ ეს იზიდავთ TRUSSARDI-ს მომხმარებლებს მსოფლიოს გარშემო. მინდა, ჩვენი ბრენდი ყოველთვის დარჩეს „ბუნებრივი ელეგანტურობის“ საუკეთესო მაგალითად.

**ტექსტი**: NANÁ BOTTAZZI
**სასახლის ფოტოები**: GIORGIO BARONI
**ფოტოპორტრეტები**: MARIO GOMEZ
**ვარცხნილობა**: FABRIZIO SASSARO-MADAME
**მაკიაჟი**: MICHELE MAGNANI FOR MAC
**დეკორაციები**: FABRIZIO COCCHI
**ჩაცმულობა და აქსესუარები**: TRUSSARDI
**მაგიდის გაფორმება**: ZEPTER

# aromatequé

niche boutique

LUTECIA GROUP

NICHE BOUTIQUE
Address 17 Shavteli str.
0105 Tbilisi, Georgia
Hotel Ambassadori

BOCA DO LOBO
სარკე

MAISON VALENTINA
აბაზანა

DECOR

# WHITE & GOLD

CASPANI TINO
სავარძელი

BOCA DO LOBO
მაგიდა

## ოქროსფრისა და თეთრის სინთეზი ნებისმიერ შემთხვევაში კლასიკური და მდიდრულია

თუ გსურთ თქვენი სახლის ინტერიერში სწორედ ამ ორი ფერის კომბინაცია დომინირებდეს, ეცადეთ ზუსტად შეარჩიოთ ისეთი ნივთები, რომლებიც ძალიან არ გადატვირთავს საერთო სტილს. მდიდრული ოქროსფრისა და მინიმალისტური თეთრის მიქსის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ეს ტონალობები უხდება როგორც კლასიკურ მდიდრულ, ასევე სადა ინტერიერსა და დიზაინს. ეს სტილი ყველაზე მეტად ასოცირდება არტ-დეკოს ესთეტიკასა და 1920-იანი წლების ნიუ-იორკთან.

BOCA DO LOBO
მაგიდა
BY KOKET
სავარძელი
MAISON VALENTINA
მაგიდა
BOCA DO LOBO
სკამი
ESSENTIAL HOME
ლამფა

Givenchy-ის haute couture-ის კაბებში გამოწყობილი კატია და მარიელი მე-19 საუკუნის Silbermann-ის ფორტეპიანოებთან პოზირებენ (მარცხნივ), რომელიც მსოფლიოში მხოლოდ ოთხი ცალია შემორჩენილი. დების ფანტასტიკური რომაული სახლი (ზევით, მარცხნივ) ოდესღაც ბორჯიების არისტოკრატიულ ოჯახს ეკუთვნოდა.

მსოფლიოში ცნობილი დუეტი

# პიანისტი დები ლაბექები

## მუსიკასა და ისტორიულ სახლზე რომში

ქვითა და ხით გაფორმებული სამზარეულო სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს და სოფელთან ასოცირდება (ზევით და მარცხნივ). ხეს ასევე ცენტრალური ადგილი უკავია შესასვლელში (ქვევით). როდესაც დებმა ეს სახლი იყიდეს, იგი სამ სახლად გახლდათ დაყოფილი და „საშინელი“ სანახავი იყო.

**„მე და კატია ერთმანეთისგან განვსხვავდებით, თუმცა ვავსებთ კიდეც ერთმანეთს. ალბათ ეს არის ჩვენი წარმატების მიზეზი“**

ნიჭიერი ფრანგი დები – კატია და მარიელ ლაბექები მსოფლიოში საუკეთესო პიანისტთა დუეტის წოდებას ფლობენ, ისინი აკადემიებენ პუბლიკას მილანის „ლა სკალაშიც“ და ლონდონის ROYAL FESTIVAL HALL-სა თუ PROMS-ში. რასაკვირველია, ასეთ წარმატებას ერთ დღეში არავინ აღწევს. ბუნებრივ ნიჭთან ერთად, დებმა მრავალწლიანი მძიმე შრომა გასწიეს, რათა ფორტეპიანოზე დაკვრა საუბარს დამსგავსებოდა და მსმენელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაეტოვებინა.

დების წარმატებაში ლომის წილი დედას მიუძღვის, რომელიც თავადაც პიანისტი გახლდათ და მცირე ასაკიდან ქალიშვილებს მუსიკის სიყვარულს უნერგავდა. თუმცა მათ სხვა კერპიც ჰყავდათ. 20 წლის წინ სტინგის სახლში მათ მადონა გაიცნეს, რომელსაც ძალიან დაუმეგობრდნენ. კატიას ▶

მარიელი (მარჯვნივ) დირიჟორ სემიონ ბიჩკოვის მეუღლეა. დატვირთული რეჟიმის გამო ისინი თვეობით ვერ ნახულობენ ერთმანეთს. კატიას პარტნიორი კი მუსიკოსი დევიდ ჩალმინია, რომელიც რომში დების სტუდიოში მუშაობს, რაც წყვილს საშუალებას აძლევს ხშირი ურთიერთობა ჰქონდეთ.

ფრესკები საძინებლებში (ზევით) და მისაღებ ოთახში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ორი სტუდენტის დახმარებით აღდგა. სააბაზანოები კი (ქვევით და მარჯვნივ), დების სიტყვებით, „შთამბეჭდავია“ და მარმარილოს გარდამავალ ტონებს შეიცავს.

თავისი საძინებლის მესასვლელთან კატია Givenchy-ის haute couture-ის კაბით პოზირებს (ზევით). „დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, თუ რა გვაცვია სცენაზე“, – აცხადებენ დები.

„სცენაზე Givenchy-ის სახლის დიზაინერის – რიკარდო ტიშის ტანსაცმელი გვაცვია. მისი სტილი არტისტულ განზომილებას შეიცავს, უსასრულოა და ჩვენ ეს ძალიან მოგვწონს. მის სამოსში გამოწყობილები თავს კომფორტულად ვგრძნობთ. შესრულების დროს ის თითქოს ძალას გვმატებს“

**„მადონა ჩვენთვის შთაგონების წყარო იყო და ეს ორმხრივი გახლდათ. ჩვენ მის ქორწილშიც კი დავუკარით“**

**კატია და მარიელი განტვირთვის საათებს თავის სტუდიაში ატარებენ. მათი თქმით, ეს ადგილი „ძველისა და ახლის მიქსს წარმოადგენს. აქ ბოლო დროის მუსიკალურ აღჭურვილობასა და რამდენიმე-საუკუნოვან ავეჯს ერთად ნახავთ.**

და მარიელას სიტყვებით, „პოპის დედოფალი ჩვენი შთაგონების წყარო გახდა და ეს ორმხრივი გამოდგა“.

14 და 12 წლის ასაკში ისინი საცხოვრებლად პარიზში გადმოვიდნენ, სადაც სწავლა მსოფლიოში ცნობილ კონსერვატორიაში გააგრძელეს. დებმა ერთად დაამთავრეს სასწავლებელი და იმ წლის პირველი პრიზიც აიღეს. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, რომ კარიერა დუეტის სახით უნდა გაგრძელონ და არასოდეს დაიშალონ. დღეს კი მათი ჰარმონიული დუეტი დიდი მოთხოვნით სარგებლობს და ისინი თითქმის მუდამ გასტროლირებენ. დატვირთული რეჟიმის გამო მეუღლეებსაც კი იშვიათად ნახულობენ. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა განსატვირთად რომში, თავის ისტორიულ სახლში ჩადიან.

„ეს სახლი რომ ვიყიდეთ, საშინელ მდგომარეობაში იყო! სამ სახლად გახლდათ დაყოფილი, არც ჭერი აღმოჩნდა ასეთი მაღალი, ფრესკებსაც ვერ ნახავდით. თუმცა ჩვენ ამ სახლის ისტორია მოგვეწონა. წარსულში ეს ბორჯიების საგვარეულოს ერთ-ერთი სასახლე იყო. შესანიშნავი მდებარეობა აქვს, ძველი რომის შუაგულშია. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, აქსელ ვერვურდტი ის ადამიანია, რომელმაც გვასწავლა ყველაფერი დეკორის შესახებ.

ყველაზე მეტად საძინებლებში და მისაღებ ოთახში მე-17 საუკუნის ფრესკები მოგვწონს, რომელიც ნამდვილი აღმოჩენა იყო. ჩვენ ისინი სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ორი სტუდენტის დახმარებით გადავარჩინეთ და აღვადგინეთ. ასევე გამორჩეულია სააბაზანო ოთახებიც – ერთ-ერთი მათგანი უძველესი რომაული სახლის ვილა პამფილის სტილშია გაკეთებული. რაც შეეხება ჩვენს სტუდიას, ის ძველისა და ახლის მიქსს წარმოადგენს. აქ ბოლო დროის მუსიკალურ აღჭურვილობასა და რამდენიმესაუკუნოვან ავეჯს ერთად ნახავთ. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის გახლავთ, რომ სტუდია სივრცეა, სადაც ვუკრავთ და ვისვენებთ“.

**ტექსტი**: LOLA DELGADO
**ფოტო**: ANDREA SAVINI
**კოორდინატორი**: CRISTIAN RODRIGUEZ
**ვარცხნილობა და მაკიაჟი**: MICHELE MAGNANI

# TAMUNA INGOROKVA FASHION HOUSE

**CONTACT**
**Address: 13A Tamarashvili Street, 0177, Tbilisi, Georgia**
**Phone: (995 32) 291 28 72**
**E-mail: tamuna@ingorokva.com**

DECOR

# VINTAGE

ვინტაჟური სტილი თანამედროვე დეკორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტრენდია. განახლებული ძველებური ავეჯი და აქსესუარები, სახლთან ერთად, კაფეებისა და რესტორნების დიზაინსაც ძალიან უხდება

საკმაოდ ეფექტურია მთლიანად ვინტაჟის სტილში მოწყობილი სახლი, თუმცა ასევე გამორჩეულია ძველებური დეტალებისა და სხვა ნებისმიერი სტილის Healthy Mix. ძველებური ტორშერი, სავარძელი თუ ჭურჭელი ნებისმიერი სტილის სახლს მეტ დახვეწილობასა და სიმყუდროვეს შესძენს – სწორედ ვინტაჟური სტილი და თბილი ფერები ქმნის უეს ანდერსონის ფილმებში ჯადოსნურ სამყაროს.

HOOKER FURNITURE
კომოდი

CURREY
ჭაღი
BY KOKET
სარკე
HOOKER FURNITURE
მაგიდა
TRUTH IN CRAFT
კარადა
KETI PULASKI
სარკიანი კომოდი
HOOKER FURNITURE
სკამი
BY KOKET
ლამფა
COLEMAN FURNITURE
გრძელი ტაბურეტი
CHESTERFIELD
სავარძელი

ალექსანდრა დე პფაიფერის მშვენიერი სასახლე ჟენევის გარეუბანშია აშენებული. ინტერიერის დიზაინერმა თავისი გემოვნებით შექმნა მდიდრული და მყუდრო სახლი, რომელიც თბილ, ბუნებრივ ტონებში გადაწყვიტა და კაშკაშა ფერებითა და ხელოვნების ნიმუშებით გააფორმა.

## ჟენევაში მცხოვრები ინტერიერის დიზაინერი

# ალექსანდრა დე პფაიფერი

## ყოველდღიურობაზე და მრავალფეროვან ინტერესებზე გვესაუბრება

ალექსანდრა და მისი გოგონები – ფლავია და ბიანკა, თავს Ralph Lauren-ის სამოსით იწონებენ და კლასიკურ SL Mercedes-თან პოზირებენ.

„ჩემი ცხოვრება
გლობუსის გარშემო
ტრიალებს. ვგიჟდები
მოგზაურობასა და ახალი
ადგილების აღმოჩენაზე“

თუ შერჩეული სტილი ადამიანის ცხოვრების ანარეკლია, მაშინ ალექსანდრა დე პფაიფერის ცხოვრება ინტრიგებითა და კონტრასტებითაა სავსე. ინტერიერის დიზაინერის ნამუშევართა შორის უამრავი ალპური შალე, ტბისპირა მამული, ბანკი, სასახლე და მდიდრული იახტაა. ყველა მათგანი უზადო გემოვნებითაა გაფორმებული და ერთდროულად გულისხმობს სიმდიდრესაც და უბრალოებასაც, ელეგანტურობასაც და ყოველდღიურობასაც... მისივე დამსახურებით, პოდიუმებიც ჯადოსნურ ელფერს იძენს ხოლმე და ყოველთვის ტექსტურის, ფორმებისა და სტილის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ალექსანდრა ჟენევაში ცხოვრობს. მის დიზაინში ბაროკო თანამედროვეობასთან ერთიანდება; ბუნებრივ, თბილ ტონებს კაშკაშა ფერები ახალისებს; ერთფეროვან, სადა მასალებს კი მხიარული, ფერადი და მკვეთრი დეტალები აფორმებს. პფაიფერის დიზაინში ყოველთვის ჩანს ბუნებრივი გარემოცვაც – უზარმაზარი ფანჯრები, ლამაზი ხედები და დადებითი ემოციებით სავსე სამყარო.

## ოჯახური პორტრეტი

ალექსანდრას მრავალფეროვანი შინაგანი სამყარო შეიძლება ოჯახიდანაც გამომდინარეობდეს. დედამისი აშშ-ში დაიბადა, მამამისი კი ავსტრიელი არისტოკრატი გახლდათ. რაც შეეხება მეუღლეს, ის ცნობილი შვეიცარიული ოჯახიდანაა და ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ყველაფერმა ცნობილ დიზაინერში ერთიორად გააღვივა სამყაროსა და სხვადასხვა კულტურის შეცნობის სურვილი. ასეთივე ინტერესები ჩაუნერგა შვილებსაც: ალექსანდრეს, მაქსიმილიანს, ფლავიასა და ბიანკას. 26 წლის ფლავია დედის კვალს გაჰყვა – ნიუ-იორკში Parsons School-ის დიზაინის კურსი დაამთავრა და მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი სტარტაპის სათავეში მოექცა. რაც შეეხება 24 წლის ბიანკას, ის ჯანსაღი კვების სფეროში ჩაერთო.

ალექსანდრა და მისი გოგონები Chopard-ის სამკაულებით იპრანჭებიან (მარცხნივ). დიზაინერს ვაჟიშვილებიც ჰყავს – ალექსანდრე და მაქსიმილიანი. ოჯახის მისაღები ოთახი ბაროკოსა და თანამედროვე სტილის იდეალური ნაზავია. აქვეა კონტრასტული ტექსტურა, ფორმები და სტილის მრავალფეროვნება.

ალექსანდრას საოცრად დაკავებული პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრება აქვს. დაკავებულები არიან მისი შვილებიც. სწორედ ამიტომ, ოჯახური შეკრებები მათთვის დიდი ფუფუნებაა. ეს მხოლოდ მაშინ ხდება ხოლმე, როცა ბაჰამის კუნძულებზე, საკუთარ სახლში იკრიბებიან და ზაფხულის მზიანი ამინდით ტკბებიან. რაც შეეხება ზამთრის სიცივეს, მას გშტადში მდებარე ჯადოსნურ სახლში „ებრძვიან“.

**გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ...**

**ბ.ჯ.** ძალიან მრავალფეროვანი და მრავალეროვანი ოჯახი მყავს. მე ფრანგი ვარ, დედაჩემი

„დეკორაციებზე არანაკლებ შიყვარს ნახატები. უკვე 15 წელია რჩეულ ნამუშევრებს ვაგროვებ. როცა საქმე ხელოვნებას ეხება, გადამწყვეტი მნიშვნელობა პირველ შთაბეჭდილებას, ერთი ნახვით სიყვარულს ენიჭება“

ალექსანდრას ნამუშევართა შორისაა ალბური შალეები, ტბისპირა ქამულები, ბანკები, იახტები და სხვ. სოლიდური სტილის გაფერადება და გამხიარულება დიზაინერის ერთგვარი ხელწერაა (ქვევით).



ამერიკელია, მამაჩემი კი – ავსტრიელი. მეუღლეს ჟენევის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში შევხვდი. მისი გვარი პფაიფერ ფონ ალტიშოფენია. შვეიცარიაში სახელგანთქმული ოჯახის წარმომადგენელია. მის წინაპართა შორის სამეფო ოჯახის წარმომადგენლები და სახელმწიფო არმიის მეთაურები შედიან.

**როგორ აღწერდით თქვენს სახლს?**

**ს.ჰ.** ჩვენი სახლი ჟენევასთან ახლოს მდებარე სოფელშია აშენებული და მინდვრებითა და ვენახებითაა გარშემორტყმული. როცა აქ დავსახლდით, მხოლოდ ორი პატარა დატბორილი ადგილი იყო. ჩვენ კი 400 კვადრა- ▶

24 წლის ბიანკა ჯანსაღი კვების სფეროში მოღვაწეობს. მისი მოუსვენარი ოჯახი ზაფხულობით ბაჰამის კუნძულებზე ისვენებს, ზამთარში კი გშტადის ჯადოსნური სახლისკენ მიემგზავრება.

ტულ მეტრზე გავაშენეთ ჰორტენზიები, როდოდენდრონები, მაგნოლიები, კვიპაროსები, ვარდები, იასამნები და ყველაფერი, რაც შეგვეძლო. გვინდოდა ელეგანტური ინგლისური ბაღი შეგვექმნა. ჩემი შთაგონების მთავარი წყარო ოსმანი იყო. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა ხეხილის გასაშენებლად. ჩვენი მიზანი იყო, სამყაროს მშვენიერება შინ შემოგვეყვანა. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ შუშის კარები და დიდი ფანჯრები. ამ სახლის გარდასახვას უზარმაზარი ფანტაზია და საოცარი შრომა დასჭირდა.

**ინტერიერი ძალიან თანამედროვედ გამოიყურება...**

**ბ.ჰ.** ჩემი სახლი ჩემი ცხოვრების სტილის ანარეკლია: ელეგანტური და დახვეწილი, მხიარული დეტალებით. დეკორაციებზე არანაკლებ მიყვარს ნახატები. უკვე 15 წელია რჩეულ ნამუშევრებს ვაგროვებ. თავიდან ფოტოებით დავიწყე, შემდეგ კი ნახატებსა და ქანდაკებებზე გადავინაცვლე. როცა საქმე ხელოვნებას ეხება, გადამწყვეტი მნიშვნელობა პირველ შთაბეჭდილებას, ერთი ნახვით სიყვარულს ენიჭება.

**მაგიდაზეც კი ნახატებია...**

**ბ.ჰ.** დედაჩემი საუკეთესო დიასახლისი და მასპინძელი იყო. ის ჩვენი სახლის პირველი ლედი გახლდათ. ადრეულ ▶

„ჩემი სახლი ჩემი ცხოვრების სტილის ანარეკლია: ელეგანტური და დახვეწილი, მხიარული დეტალებით“

ფერად სასადილო ოთახს (ზევით) მე-18 საუკუნის ჭაღი ანათებს. თანამედროვე საოჯახო სამზარეულო კი (ქვევით) დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა. ხითა და მეტალით შექმნილ დახლზე Meissen-ის თეფშები და Murano-ს ჭიქებია მოთავსებული. სასაუზმე კუთხე (ქვევით, მარცხნივ) ელეგანტურ ინგლისურ ბაღს გადაჰყურებს. „გვინდოდა სამყაროს მშვენიერება შინ შემოგვეყვანა. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ შუშის კარები და დიდი ფანჯრები“, – ამბობს ალექსანდრა.

**„უდიდეს პატივს ვცემ ტრადიციებსა და ღირებულებებს, მაგრამ ამავდროულად ყველანაირი სიახლე მაინტერესებს“**

უზარმაზარი საძინებელი ოთახი მშვიდ, თბილ ტონებშია გადაწყვეტილი. აქ ერთმანეთს იდეალურად ერწყმის ვინტაჟური სტილის იასამნისფერი, ვარდისფერი, ყავისფერი და ოქროსფერი. ალექსანდრას ყოველთვის კარგად გამოსდის თანამედროვე და ტრადიციული ელემენტების გაერთიანება. მისი ჯადოსნური ხელი სააბაზანო ოთახსაც ეტყობა (ქვევით).

ასაკშივე მასწავლა მაგიდის ელეგანტურად გაწყობა და ახლისა და ძველის იდეალურად შერწყმა.

**რა არის თქვენთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა?**

**ა.ჰ.** ჩემი ოთხი შვილი, ქმარი და ცხოვრება, რომლისგანაც საოცარ სიამოვნებას ვიღებ.

**საკუთარ თავს როგორ აღწერდით?**

**ა.ჰ.** ჩემი ცხოვრება გლობუსის გარშემო ტრიალებს. ვგიჟდები მოგზაურობასა და ახალი ადგილების აღმოჩენაზე. ყოველთვის ვცდილობ ხოლმე, სამუშაოსგან სიამოვნება მივიღო. სიცოცხლით ტკბობაში ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა მეხმარება. ზაფხულში შვეიცარიაში, ნიუ-იორკსა და ბაჰამის კუნძულებზე ვიკრიბებით ხოლმე. ზამთარში კი გშტადში მივემგზავრებით. ჩემი საქმიანობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მონახულებაში მეხმარება.

მე და ჩემს მეუღლეს ყოველთვის გვინდოდა ჩვენს შვილებს საერთაშორისო განათლება მიეღოთ და მსოფლიოს მოქალაქეები გამხდარიყვნენ. რასაკვირველია, ამაში ხელი ადრეული ასაკიდანვე შევუწყვეთ.

რაც შეეხება ჩემს პირად სამყაროს, ერთადერთი, რისი თქმაც საკუთარ თავზე

ჩაცმულობა: ERMANNO SCERVINO; ETRO; FRS; MARNI

ალექსანდრას გარეგნული მშვენიერება და ნიჭი ქალიშვილებსაც გამოჰყვათ. ფლავიამ დიზაინი შეისწავლა და თავისი ოთახიც საკუთარი გემოვნებით გააფორმა (ქვევით, მარჯვნივ).

შემიძლია, არის ის, რომ ყველაფერს, რაშიც ვერთვები, ბოლომდე ვუძღვნი თავს. თუმცა ზღვარს არასოდეს ვაბიჯებ. უდიდეს პატივს ვცემ ტრადიციებსა და ღირებულებებს, მაგრამ ამავდროულად ყველანაირი სიახლე მაინტერესებს.

**დაბოლოს: ალექსანდრა, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?**

**ა.ბ.** მწამს, რომ იღბალი ჩემს მხარესაა.

---

**ტექსტი**: NANA BOTTAZZI
**სახლისა და ინტერიერის ფოტოები:** GIORGIO BARONI
**ალექსანდრასა და მისი შვილების ფოტოები**: FERNANDO LOMBARDI
**მაკიაჟი**: PABLO ARDIZZONE

DECOR

# VELVET

## ინტერიერის დიზაინი მჭიდროდაა დაკავშირებული მოდის ინდუსტრიასა და ტენდენციებთან

როგორც კი პოდიუმზე დიდი დოზით ხავერდის ფაქტურები გამოჩნდა, ამ ტრენდმა ავტომატურად ჩვენს სახლებშიც გადმოინაცვლა. ხავერდის სულ მცირე დეტალსაც კი შეუძლია თქვენს სახლს საოცრად მდიდრული, აღმოსავლური იერი შესძინოს. ხავერდის დივნები, სავარძლები და ბალიშები თქვენს მისაღებ ოთახს განსაკუთრებულ სიმყუდროვესა და სითბოს მიანიჭებს.

**BY KOKET**
ტახტი

**ONE KINGS LANE**
ბალიში

**WEST ELM**
საწოლის გადასაფარებელი

**MAISONS DU MONDE**
სკამი

**COUCH**
დივანი
1 500₾

**BY KOKET**
სკამი

**BY KOKET**
სკამი

**MAISONS DU MONDE**
სავარძელი

**ARMEN LIVING**
სავარძელი

**BY KOKET**
დივანი

**BY KOKET**
სავარძელი

„მომწონს, როცა ჩემი ნამუშევრების გარემოცვაში ვარ“

# აგათა რუიზ დე ლა პრადა

ცნობილი დიზაინერი მადრიდულ დუპლექსში გვეპატიჟება და HELLO!-ს ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს

**„ჩემთვის ფერები ყველაფერია – სიხარული, სიცოცხლე, ოპტიმიზმი. მელანქოლიასა და დეპრესიას სწორედ ფერებით ვებრძვი. ჩემი სახლი თავიდან მთლიანად თეთრად გადავღებე, რომ შემდეგ ფერები უფრო გამოკვეთილიყო. შავი ერთადერთია, რომელიც მეზიზღება“**

ბიბლიოთეკაში, რომელიც მისაღები ოთახისგან თეთრი კარითაა გამოყოფილი, დიდ ადგილს იკავებს Guy de Rougemont-ის ორიგინალური სკულპტურა – „ფეროების მონოლითი“. წიგნების თაროს, ყველაფრის მსგავსად, თეთრადაა შეღებილი. ორიგინალური წითელი სავარძლის დიზაინი იაპონელ მასალაზეა ყველაფერის, ფეხის ფორმის სტეფილოსფერი სკამი კი თავად ადამიანს ნაბეჭდავია. ძარღვნება ვეფრდბე დიასაბლისი საკუთარი დიზაინით შექმნილ სამოსშია გამოწყობილი და თავის ფეროად სამყაროში ვეცანაძიმლობს.

საყოველთაოდ ცნობილი დიზაინერი, რომელიც ასეთივე ცნობილი ჟურნალისტის – პედრო რამირესის მეუღლეა, მადრიდულ დუპლექსში გვეპატიჟება და HELLO!-ს ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს.

„დიდი ბებიის პატივსაცემად თავიდან აგუედა იზაბელი დამარქვეს. თუმცა ისე მოხდა, რომ ყველამ აგათა შემარქვა“, – გვიხსნის მადრიდელი დიზაინერი, რომელიც მისაღები ოთახის დივანზეა მოკალათებული. რუიზ დე ლა პრადა არისტოკრატების – მარია იზაბელისა და ხუან მანუელის ოჯახში, ოთხ უმცროს და-ძმასთან ერთად გაიზარდა. „კარგი მოსწავლე არასოდეს ვყოფილვარ. კლასელებთან ერთად სულ რაღაცას ვაფუჭებდი. ვერც უნიფორმას ვიტანდი“, – იხსენებს აგათა, – „15 წლის ასაკში მივხვდი, რომ თავს ყველაზე კომფორტულად დიზაინის სფეროში ვიგრძნობდი“.

პირველი ნაბიჯები მადრიდში, პეპე რუბიოსთან ერთად გადადგა. როგორც ამბობს, მხოლოდ 20 წლის იყო, როცა პირველი ▶

„იატაკი სახლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველა ცვლილება, რომელსაც გეგმავ, იატაკის ფერს უნდა შეესაბამებოდეს. მე ლურჯი შევარჩიე და ამ გადაწყვეტილებით ბედნიერი ვარ“

სალონის თეთრი ფარდები ოთახში მეტ შუქს განაპირობებს. დივანი დიასახლისის შემოქმედებაა. გვირილის ფორმის უზარმაზარი პუფიც აგათას დიზაინითაა შექმნილი. რაც შეეხება მინის მაგიდას, ის Capellini-ს ნახელავია. ორიგინალური თეთრი ქანდაკება, რომელსაც Untitled 2009 ჰქვია, ფრანს უესტის ნამუშევრებს განეკუთვნება. მწვანე სავარძელი კი ეგვიპტელ კარიმ რაშიდს ეკუთვნის. იქვე მდგომი მწვანე და იისფერი ტაბურეტების ავტორი ფრანგი ფილიპ სტარკია.

მრგვალი ფორმის ოთახი, რომელიც პედროს ოფისის ფუნქციას ითავსებს, წიგნების ძალიან მდიდარ კოლექციას ინახავს. ბუხარი მარმარილოსია. იმისთვის, რომ ზედმეტად სერიოზულ ინტერიერში სითბო და სიფერადე შეეტანა, აგათამ ოფისში **Marcello Ziliani**-ს წითელი კიბე, **Philippe Starck**-ის სანათი და თავისი დიზაინით შექმნილი პუფი დადგა. ხალიჩაც, რომელიც ოთახს თავისებურად აფერადებს, დიასახლისის ნახელავია (ზევით). საწოლი, თეთრეული, სალათისფერი სავარძელი, ლურჯი და ფორთოხლისფერი პუფები – ყველაფერი, რასაც საძინებელ ოთახში ხედავთ, აგათას შემოქმედებაა. სხვისი დიზაინით მხოლოდ ხის ტაბურეტი (**Santa & Cole**) და სალათისფერი ბალიშებია (**Natura**) შექმნილი (ქვევით).

„ჩვენს სახლს ორი სართული აქვს და იდეალურადაა მოწყობილი იმისთვის, რომ ოჯახის წევრებს ერთმანეთთან მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეთ“

აგათა შვილებთან – ტრისტანსა და კოსიმასთან ერთად პოზირებს. მათთან ერთადვეა უსაყვარლესი Tupac-ი, რომელიც ერთ-ერთია ოჯახის ცხრა ძაღლიდან. უკან ლუი XVI-ის შთაგონებით შექმნილი კარადაა, რომელსაც მარმარილოს ზედაპირი აქვს. ფერადი ნახატი პიტერ ჰოლის ეკუთვნის, ხალიჩის დიზაინი კი – თავად დიასახლისს. მარჯვენა კარი ჩვენი მასპინძლის ოფისში შედის, მარცხენა – სასადილო ოთახში, სადაც ბიბლიოთეკის ნაწილია განთავსებული.

**აგათას ფერადი დუპლექსიდან მადრიდის საოცარი ხედები იშლება. პანორამული პეიზაჟები ტერასიდანაც ჩანს**

ხის ავეჯი და მასთან ჩამოკიდული ჭაღები **Bulthaup**-ის შემოქმედებაა. როგორც ხედავთ, ჭურჭლის სარეცხ მანქანას აგათას ხელი ეტყობა. სამზარეულოში **Swatch**-ისა და **Christopher Makos**-ის ნამუშევრებსაც გადაეყრებით. მეორე ფოტოზე კოსიმა სასადილო ოთახში პოზირებს. გოგონას დედამისის ახალი კოლექციის სამოსი ამშვენებს. აქ ოთხი ფერის რვა მაგიდაა განთავსებული. თითოეული მათგანი აგათას დიზაინითაა შექმნილი. რაც შეეხება ოქროს ნახევარსფეროს, ის ჰეისონ მარტინს ეკუთვნის.

**სახლი ისეა მოწყობილი, რომ სივრცე მაქსიმალურად შენარჩუნდეს. სწორედ ამიტომ, პირველ სართულზე სამზარეულო, სასადილო და ლაუნჯის ტიპის ოთახებია განთავსებული, მეორეზე კი - ოფისები, საძინებელი და სააბაზანო ოთახები. იმისთვის, რომ ოთახი უფრო საინტერესო გამხდარიყო, ტრისტანმა თავის ოთახში ერიკ ბოდლერის ფოტო ჩამოკიდა. ხალიჩა, რომელზეც მაოა გამოსახული, Jean-Charles de Castelbajac-ის პოპარტული ნამუშევარია.**

ჩვენება გამართა. მას შემდეგ არ გაჩერებულა და თავისი შემოქმედებით გამუდმებით აკვირვებდა გარშემომყოფებს. ესთეტიკური სილამაზე, ბავშვური დეტალები, გულის ფორმები, ნათელ ფერთა გამა და გამოკვეთილი ფორმები – ეს აგათას ხელწერაა, რომელსაც დღეს ყველა ცნობს.

აგათას ნამუშევრები მადრიდის, პარიზის, მილანისა და ნიუ-იორკის საფირმო მაღაზიებშია წარმოდგენილი და 140 ქვეყანაში იყიდება.

„აგათა უნიკალურია. ის არანაირ ტრენდს არ მიჰყვება და ყოველთვის საკუთარ, ინდივიდუალურ სტილს ქმნის“, – ამბობს მისი მეგობარი კაროლინა ჰერერა. დიზაინერი კი აგრძელებს: „ჩემი დიზაინის შექმნა ყველგან შემიძლია – მოდის სფეროში, ინტერიერში... შემიძლია ავეჯი, სუფრები და უბრალო ტილოებიც კი გარდავსახო. სხვათა შორის, ძალიან მიყვარს სახლის დალაგება. ეს ჩემთვის განტვირთვის ერთგვარი საშუალებაა. ზოგი ადამიანი იოგას მიმართავს ხოლმე, მე კი დასუფთავება მსიამოვნებს. იმავეს ვერ ვიტყოდი კულინარიაზე – ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის“. ▶

„ჩვენი მიზანი დიდი სივრცის შენარჩუნება იყო. ამიტომ თეთრი თაროები გავაკეთეთ და პიტერის ყველა წიგნი იქ მოვათავსეთ“

**აგათამ საძინებელი ოთახი მრავალფუნქციურ სივრცედ გადააქცია. მისი გადაწყობა და საჭირო მიზნით გამოყენება ნებისმიერ მომენტსა და სიტუაციაშია შესაძლებელი. როგორც დიასახლისი ამბობს, სახლში ყველაზე მთავარი იატაკია. სწორედ მას უნდა შეუხამო ყველაფერი, რის შეცვლასაც გადაწყვეტ. (ზევით) კოსიმამ მისაღებ ოთახშიც შეგვიპატიჟა. მის უკან კომფორტული დივანი ჩანს. ხალიჩა, რომელსაც Swimming Pool ჰქვია, David Hockney-ს შემოქმედებაა. მარცხენა ფოტოზე გოგონას საძინებელი ოთახია, სადაც დონალდ ბეიქლერის ნახატი და პინედა კოვალინის ქანდაკება ჩანს.**

შრომისმოყვარე დიზაინერი, საზოგადოებრივი აქტივისტი და ეკოლოგი, ჟურნალისტ პედრო რამირესთან ერთად ცხოვრობს. მათი სიყვარულის ისტორია უკვე 30 წელზე მეტს ითვლის. ოჯახში ორი შვილია – 28 წლის კოსიმა და 25 წლის ტრისტანი.

## სახლის „აგათიზაცია“

ეს სახლი თავის დროზე არისტოკრატ და მწერალ ხოსე ლუის დე ვილიალონგას ეკუთვნოდა. ახალმა მფლობელებმა ყველაფერი დაასუფთავეს და თეთრად შეღებეს. დროთა განმავლობაში, სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე, კოსმეტიკური რემონტის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. 2007 წელს კი დიდი ცვლილებები დაიწყო.

„გადავწყვიტე იატაკი ლურჯად შემეღება, შემდეგ კი ავეჯის, ფარდებისა და ხალიჩების შეხამება დავიწყე. ამას საყვარელ ხელოვანთა ნამუშევრები დავუმატე“, – იხსენებს აგათა, – „ვინაიდან სანათები არ მიყვარს, სპეციალური სისტემა დავამონტაჟე. მისი დახმარებით განათების ინტენსივობის დარეგულირება შემიძლია. ასე დაიწყო ამ სახლის „აგათიზაცია“. აქ, ჩემი ნამუშევრების გარემოცვაში ყოფნა ძალიან მიყვარს. მსიამოვნებს, როცა ირგვლივ სრული სიჩუმეა და წიგნს ვკითხულობ. დიახ, კითხვა ჩემი საყვარელი საქმიანობაა“.

**ტექსტი**: TIM WOOD. REALIZACIÓN
**ფოტო**: VICTORIA GÓMEZ

# ოკტოპუს ფიტნეს კლუბი

- კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
- ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
- LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
- მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
- ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი

Be *ok*
Climb to the *top*
Become one of *us*

OPEN: *24/7*

სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/

სიფრთხილეებისა და შემოქმედებითი იდეებით სავსე

# ანტონია დელატე

ფრაქტიკულად და ორიგინალურად მოწყობილი საცხოვრებელი სავსეა ოჯახიმიზმით, ფიზიოლოგიისა და სიცოცხლის სიყვარულით

ფრაქტიკულად და ორიგინალურად მოწყობილი საცხოვრებელი, რომელიც Armani-ს ფუბამ შვილს - კლოემენე დევეიოს აშენა, სავსეა ოჯიმიზმით, ფოზიტივითა და სიცოცხლის სიყვარულით. ყველაზე ოვალწარმმეცი საოცარ ფერებში გადაწყვეტილი სამზარეულოა.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც სიურპრიზებითა და შემოქმედებითი იდეებით სავსე ანტონია დელატემ მილანის სახლი ექსტრავაგანტურ ორსართულიან ბინად გადააქცია. პრაქტიკულად და ორიგინალურად მოწყობილი საცხოვრებელი, რომელიც ARMANI-ს მუზამ შვილს – კლემენტ ლეკვიოს აჩუქა, სავსეა ოპტიმიზმით, პოზიტივითა და სიცოცხლის სიყვარულით. ყველაზე თვალწარმტაცი საოცარ ფერებში გადაწყვეტილი სამზარეულოა.

## BON APPÉTIT

„ამ სახლში ყველაზე მეტად სამზარეულო მომწონს. განსაკუთრებულად მსიამოვნებს, როცა კულინარიულ საოცრებებს ფერად გარემოში ვქმნი“ – ამბობს ყოფილი მოდელი. PORCELANOSA-ს ავეჯი თეთრსა და ნაცრისფერშია გადაწყვეტილი, რაც მეტი სივრცის შეგრძნებას ქმნის. ამავე მიზანს ემსახურება კედლის ღია ტონიც. KOMAR-ის ცნობილი შედევრი კი ფერების ნამდვილ დღესასწაულს ქმნის. მეორე სართული KARE-ს ავეჯითაა მოწყობილი და ყურადღებას გამჭვირვალე იატაკით იქცევს.

## ალიარება

„ვინაიდან მუდამ მოგზაურობა მიწევს და თითქმის ყოველთვის იტალიასა და ესპანეთს შორის დავფრინავ, ჩემთვის თავისუფალი დრო დიდი ფუფუნებაა. ასეთ წუთებს წერას ან კულინარიას ვუთმობ ხოლმე. როცა ამ სახლის გარდასახვა გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ სივრცის სიმცირე ბევრ რამეში ▶

„როცა ამ სახლის გარდასახვა
გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ
სივრცის სიმცირე ბევრ რაშეში
შემიშლიდა ხელს, მაგრამ იმაშიც
დარწმუნებული ვიყავი, რომ
საოცარ შედეგს მივიღებდი“.

შემიშლიდა ხელს, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ საოცარ შედეგს მივიღებდი“.

## საძინებელი და საბაზანო ოთახების ინტეგრაცია

საძინებელი ოთახის მაგიდა KARE-ს ეკუთვნის, სანოლი და ბალიშები კი – ETRO CASA-ს. საბაზანო შუშის კედლითაა გამოყოფილი. მისი აღჭურვილობა მთლიანად PORCELANOSA-ს ნახელავია.

## ორმაგი ფუნქცია

სახლის გარდაქმნაში ანტონიას არქიტექტორი ნერი სელიგარდი დაეხმარა. ფოტოზე დიასახლისი ARMANI-ს ტანისამოსით პოზირებს. ის სასტუმრო ოთახშია, რომელიც თავის ფუნქციას ხშირად ასრულებს და ოჯახის უამრავ სტუმარს მასპინძლობს. მას ორმაგი დატვირთვა აქვს და საცხოვრებელი ოთახის ფუნქციასაც ითავსებს. ინტერიერი KARE BARCELONA-ს დიზაინითაა გაფორმებული.

## სამუშაო სივრცე

რადგანაც სახლს ძალიან მაღალი ჭერი ჰქონდა, ანტონიამ სივრცის ორად გაყოფა გადაწყვიტა და მეორე სართული მთლიანად მინით მოაპირკეთა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი იატაკიც კი შუშისაა და პირდაპირ მისაღებ ოთახს გადმოჰყურებს. ეს კლემენტის სამუშაო სივრცეა. ყველაფერი, დაწყებული მაგიდიდან, დასრულებული ნიგნის თაროებითა და სანათებით, KARE BARCELONA-ს შემოქმედებაა.

**ფოტო**: VÍCTOR CUCART

**რადგანაც სახლს ძალიან მაღალი ჭერი ჰქონდა, ანტონიამ სივრცის ორად გაყოფა გადაწყვიტა და მეორე სართული მთლიანად მინით მოაპირკეთა**

**MARLO LORENZ**
ბალიში

**MARK ASHKENAZI,**
ხელოვნების ნიმუში

DECOR

# POP art

დაამსგავსეთ თქვენი მისაღები ენდი უორჰოლის სტუდიას, დიდი ნახატებისა და ფერადი დეტალების გამოყენებით

მაქსიმალური სიჭრელე, ნეონის მკვეთრი ფერები და ორიგინალური აქსესუარები ნებისმიერი ინტერიერის გადახალისებასა და გამოცოცხლებაში დაგეხმარებათ. ორიგინალური ფორმისა და დიზაინის ავეჯთან ერთად, არ დაგავიწყდეთ თქვენი სახლისთვის ასეთივე ნახატების, დეკორაციებისა და ჭურჭლის შეძენაც.

**BOCA DO LOBO**
კარადა

**BOCA DO LOBO**
კომოდი

**DESIGN TOSCANO**
სკამი

**BOCA DO LOBO**
კარადა

**KARTELL**
სანათი

**KETI CHKHIKVADZE**
საათი

**MADAME PUCCI**
სკამი

**MADAME PUCCI**
სკამი

**BOCA DO LOBO**
კომოდი

**ALESSANDRO MENDINI**
სავარძელი

**NELSON MARSHMALLOW SOFA**
დივანი

„ბამბუკი შესანიშნავი მასალაა. სულ რაღაც სამ წელიწადში იზრდება. ფოლადივით მყარია, თუმცა მოქნილი, სრულყოფილია...“

ჯუნგლების წიაღიდან აღმოცენებული ბამბუკის ეს ფანტასტიკური და მდიდრული ვილები ე.წ. „მწვანე სოფელს“ ქმნის. ეს არის ექსტრაორდინარული, ეკოლოგიურად სუფთა დასახლება ბალიზე, სადაც მისივე დიზაინერის – ელორა ჰარდის (მარჯვენა ფოტო) სახლიც მდებარეობს. 6-სართულიანი Sharma Springs აიუნგის წმინდა მდინარეს გადმოჰყურებს (მარცხენა ფოტო).

ელორამ ნიუ-იორკში კარიერას თავი გაანება, სადაც დონა კარანისთვის ქსოვილის პრინტებს ქმნიდა და შეუერთდა მამასა და თავის დედინაცვალს, რომლებიც ბალიზე ბრინჯის მდელოებისა და ხეების გარემოცვაში სკოლას აშენებდნენ. ცოტა ხანში მშენებლობამ 12 სახლი გააერთიანა. ბამბუკისგან აშენებული სახლები ყოველ ნაბიჯზე გაკვირვებას იწვევს.

ბალის „მწვანე სოფლის“ შემქმნელი

# ელორა ვარდი

## თავისი არაჩვეულებრივი და ულამაზესი ბამბუკის სასახლეების დასათვალიერებლად გვეპატიჟება

„ვაჩვევ ბამბუკს ამ მიწას და ხალხს, რომელიც ამ სახლებში იცხოვრებს... მათ იმის თქმაც კი შეუძლიათ, „მინდა, რომ ჩიტები შემოფრინდნენ შიგნით, ამიტომაც ფანჯრები არ მჭირდება“

**როგორც ახალბედა დედა, ელორა ეკოლოგიურად სუფთა გარემოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. Sharma Springs-ში ღია და გადასუფთავებული საცხოვრებელი სივრცე ეთთმანეთს ე.წ. გვირაბით უკავშირდება (ქვემოთ).**

ახატვარ ელორა ჰარდის ექსტრაორდინარული ცხოვრება აქვს. ბალის ჯუნგლებში ბამბუკის დასახლების შესაქმნელად ნიუ-იორკის მოდის სამყაროზეც კი თქვა უარი. ბალიზე ელორა თავისი მშობლების წყალობით აღმოჩნდა, რომლებიც გემის ჩაძირვას გადაურჩნენ, კუნძულზე მოხვდნენ და იმდენაც მოიხიბლნენ აქაური მოსახლეობით, რომ ბალიზე სამუდამოდ დარჩენა გადაწყვიტეს. „კანადაში დავიბადე. შტატებში ხელოვნებას ვსწავლობდი. შემდეგ სწავლა ბოსტონის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გავაგრძელე“, – ამბობს ჰარდი.

## იღბლიანი გადაწყვეტილება

უნივერსიტეტი ახალდამთავრებული ჰქონდა, როცა ერთ დღეს მოდის დიზაინერმა დონა კარანმა დაურეკა და ჰკითხა, აბრეშუმზე ხატვა თუ შეეძლო.

„ძვირადღირებული იტალიური აბრეშუმი გახლდათ, ჩვენებამდე კი სულ რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი. ვუთ- ▶

ელორა ადგილობრივი ხელოსნების გუნდთან მუშაობს, რომელიც ძველი ტექნიკის გამოყენებით ჭეშმარიტად ხელით შექმნილ სახლებს აშენებს. ბამბუკი ბალის ხეობებში არსებული პატარა ტყეებიდან მოაქვთ. ის სწრაფად იზრდება, ფოლადივით მყარია, თუმცა ამავდროულად დრეკადი და მსუბუქია

ხარი, რა თქმა უნდა შემიძლია-მეთქი. სინამდვილეში კი წარმოდგენა არ მქონდა რაზე იყო საუბარი. მაგრამ გავაკეთე ის, რაც მთხოვა. დღისით ვმუშაობდი, დონას სტუდიაში კი ღამეებს ვათევდი და მისი პროექტებით ვიყავი დაკავებული. მისი იდეები ქსოვილზე გადავიტანე. ძალიან მოსწონდა“, – იხსენებს ელორა.

შემდგომი ხუთი წელი დონა კარანმა და ჰარდიმ ერთად იმუშავეს – ჯერ დიზაინერის კოლექციაზე, ხოლო შემდეგ DKNY-სთვის. თუმცა როდესაც ჰარდი თავისი ოჯახის მოსანახულებლად ბალიზე გაემგზავრა, მიხვდა, რომ მეტის გაკეთება სურდა.

„საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ახალგაზრდა ვარ და წინ 50 სამუშაო წელი მაქვს. საკუთარი თავი მხატვრული კუთხით მინდა გამოვხატო“.

ეს 2010 წელს მოხდა, როდესაც ჰარდი კუნძულზე საცხოვრებლად გადავიდა. ამ დროისთვის მისი მშობლები გაიყარნენ და მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. ახალ მეუღლესთან, სინტიასთან ერთად, ელორას მამამ – ჯონ ჰარდიმ სამკაულების ბიზნესი წამოიწყო, რომელიც აზიური ხასიათისა და ტრადიციული, ხელით შექმნილი ნაკეთობების წყალობით მალევე მსოფლიოში ძალიან პოპულარული გახდა. 2007 წელს კი წყვილმა ამ ბიზნესში თავისი წილი გაყიდა და თავი ახალი კონცეფციის შექმნას მიუძღვნა – ეს იყო „მწვანე სკოლა“ (GREEN SCHOOL).

ძველი ტექნიკისა და ინოვაციური ინჟინერიის კომბინირებითა და ბამბუკის გამოყენებით, მათ ეკოლოგიურად სუფთა ▶



ეს სახლები შეიძლება ტრადიციულიც იყოს, თუმცა თანამედროვე კომფორტის არსებობას ხელს სულაც არ უშლის. დაკვეთით დამზადებული მდიდრული სამზარეულო გრავირებული დახლებით (ზევით), და ოთახები, რომლებიც შუშის მბრუნავი კარითაა იზოლირებული, რათა ჰაერის კონდიცირება შესაძლებელი იყოს (მარცხნივ).

„მწვანე სკოლა მსურველებს
გლობალურ განათლებას
სთავაზობს, რომელიც სტუდენტებს
ბუნებასთან აკავშირებს“

**არასტანდარტულ სახლებს არასტანდარტული ავეჯი სჭირდება, ამიტომ ელორა თითქმის ყველაფრის დიზაინს თავად ქმნის. მაგალითად, საწოლის (ზევით და ქვევით მარჯვნივ). დიზაინის შექმნის უნარი გენეტიკურია: მამამისი – ჯონი, სამკაულების მწარმოებელი კომპანია John Hardy-ის დამაარსებელია. მისი ულამაზესი ვერცხლის სამკაულები ცნობილია აზიური დიზაინით. ტროპიკულ ღამეში ჯადოსნურად მანათობელი Garden House (ქვევით მარცხნივ).**



ელორას პროექტი ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ითვალისწინებს, Sunrise House-ში ოსტატი მჭედლები სპეციალური დაკვეთით ქმნიან საშხაპეებსა და სპილენძის ხელსაბანებს (ქვევით).



სკოლა ააშენეს, რომელიც ღიაა ბავშვებისთვის მთელი მსოფლიოდან. აქ, საკლასო ოთახებს არ აქვს კედლები, მერხები არ არის ოთხკუთხედი ფორმის, ბავშვები კი მუდამ იღიმიან. ელორა ამბობს: „ეს ფანტასტიკური იდეაა. ეს გლობალური განათლების სისტემაა, რომელიც ცენტრალიზებულია და მოსწავლეებს ბუნებასთან აკავშირებს. ნაგებობა ფიზიკურადაც განსხვავებულია, მთელი კამპუსი ბამბუკისგანაა აშენებული. 40 სხვადასხვა ეროვნების ბავშვი იღებს ისეთ განათლებას, რომელიც სხვაგან არსად არის, და იქ, რომლის მსგავსი ადგილი არსად სხვაგან არ მოიძებნება“.

ბამბუკისგან სახლის აშენება უძველესი ტექნიკაა, თუმცა აქაც წაწყდებით პრობლემებს. თუ ბამბუკი სათანადოდ მოვლილი არ არის, მას ▶

„ბამბუკი ბუნებასთან გვაახლოებს, რომელიც ყველას გვეხმარება და ერთ-ერთი ჩვენგანია. ძლიერი, გამძლე, მაგრამ მგრძნობიარე“

**Sunrise House-ის სახურავი 18-მეტრიან ბამბუკის ბოძებს ეყრდნობა (ზედა, მარჯვენა ფოტო). გუნდი სახელად „იბუკუ“ თავიდან იგონებს იმ წესების წიგნს, რომლის მიხედვითაც სახლი უნდა აშენდეს, ხოლო მოულოდნელი შედეგი ნათლად დაგანახებთ რა შეიძლება გამოვიდეს ბამბუკისა და გარემოსთან შერწყმული არქიტექტურის გამოყენებით.**

აუცილებლად მწერები შეესევა და გაანადგურებს. ელორა და მისი გუნდის წევრები ბამბუკს ბუნებრივი მარილით ამარაგებენ, რათა მცენარემ დიდხანს გაძლოს. „ბამბუკი შესანიშნავი მასალაა. სამ წელიწადში იზრდება. ფოლადივით მყარია, თუმცა მოქნილი და სრულყოფილია“, – ამბობს ჰარდი. ელორამ და მისმა არქიტექტორებმა სახლების ახალი კონცეფცია გამოიგონეს. 12 სახლი, და ერთიმეორეს არცერთი ჰგავს. ეს არის „მწვანე სოფელი“ – ჯადოსნური ადგილი განსაკუთრებული ადამიანებისთვის, ვისაც მოსწონს ელორა და ყოველთვის ოცნებობდა ბამბუკის სახლის ქონაზე ჯუნგლებში.

„სინამდვილეში ამ სახლებს „არ ვიგონებ“ – ვაჩვევ მათ ამ ადგილს და ხალხს, რომელიც ამ სახლებში იცხოვრებს. არავითარი ნახაზები – უბრალოდ, მაკეტები. მფლობელმა შესაძლოა მოითხოვოს ორი საბაზანო ოთახი, ან სულაც განაცხადოს: „მინდა ჩიტები შემოფრინდნენ შიგნით, ამიტომ სახლში ფანჯრები არ მჭირდება“.

ამჟამად ელორა ასევე დაკავებულია დაკვეთილი ავეჯის დიზაინის შექმნით, რადგან ტრადიციული, სტანდარტული ავეჯი აქაურობას არ უხდება. „ბამბუკი ბუნებასთან გვაახლოებს, რომელიც ყველას გვეხმარება და ერთ-ერთი ჩვენგანია. ძლიერი, გამძლე, მაგრამ მგრძნობიარე“, – ამატებს ჰარდი.

**ტექსტი**: VICTORIA DE ALCAHUD
**ფოტოები**: CESAR VILLORIA
**ვარცხნილობა და მაკიაჟი**: ANJA BUERCK
**ჩაცმულობა**: MARIE FRANCE VAN DAMME

# OLAPLEX®

STRONGER HAIR IN

# 3 EASY STEPS

ოფიციალური წარმომადგენელი

**PROF BEAUTY**

facebook.com/professionalbeauty.ge

---

**FRANK PROVOST** (ი. აბაშიძის ქ. 22), **PALAZZO PRIVE** (ფალიაშვილის ქ. 43), **ექსელენსი** (ფალიაშვილის ქ. 44/5,) **ვიზაჟი** (ფალიაშვილის ქ. 98), **ირინა** (იოსებიძის ქ. 61), **მელანჟი** (ფალიაშვილის ქ. 72), **ბონიტა** (პეკინის გამზ. 15), **მილანო** (ყიფშიძის ქ. 13), **სალონი ლა ტრუფე** (თამარაშვილის ქ. 4ა), **საკურამი** (ყიფშიძის ქ. 2), **დესანჟი** (აბაშიძის ქ. 3), **რესპექტი** (თაქთაქიშვილის ქ. 11), ესთეტიკის ცენტრი **დერმა** (ყაზბეგის გამზ. 25ა), **ქალთა ბედნიერება** (კ. გამსახურდიას გამზ. 7), **ანასტასია** (პეკინის გამზ. 37), **ამბრელა** (ხმელნიცკის ქ. 153), **მზე** (ფალიაშვილის ქ. 41), **კლასი** (პეკინის გამზ. 22)

**BENTU DESIGN**
სანათი

DECOR

# ECO-friendly DECOR

ორგანული და ეკოლოგიურად სუფთა მასალით ავეჯისა და სახლის აქსესუარების შექმნა ბოლო წლებია დეკორის წამყვანი ტენდენციაა

დიდი დოზით მცენარეები და ვერტიკალური ბაღები – თქვენი სახლის ტროპიკულ ტყედ გადაქცევა საკმაოდ მარტივად შეგიძლიათ. ასეთი სტილის ინტერიერი წარმოუდგენელია ხის ავეჯის, ქოთნის ყვავილებისა და ცოცხალი ეგზოტიკური მცენარეების გარეშე.

**CRASSEVIG**
სკამი

GREG KLASSEN
ხელოვნების ნიმუში
CLEARMONT
სარკე
GREG KLASSEN
მაგიდა
CRASSEVIG
სკამი
CHRISTOPHER JENNER
სკამი
GREG KLASSEN
მაგიდა
BENTU DESIGN
სკამი

DECOR

# ვერტიკალური გამწვანება

უკვე რამდენიმე ათწლეულია „დაკიდული ბაღები“ დიდ პოპულარობას იძენს და ინტერიერის დიზაინის განუყოფელი ნაწილი ხდება. ვერტიკალურ გამწვანებას სხვაგვარად ფიტოდიზაინსაც უწოდებენ და მას დეკორის აუცილებელ ელემენტად მოიაზრებენ.

**თავდაპირველად** ვერტიკალური გამწვანების მთავარი მიზანი ოთახში ჟანგბადის რაოდენობის გაზრდა, ატმოსფეროს გაჯანსაღება, ზედმეტი ხმაურის შემცირება და მავნე აირების გაფილტვრა იყო. თუმცა ინტერიერის დიზაინერები მალევე მიხვდნენ, რომ ამ ჯადოსნური იდეის გამოყენება დეკორატიული მიზნებითაც შეიძლებოდა. სწორედ ასე დაიბადა ახალი, ლამაზი და დღეისთვის წარმოუდგენლად მოთხოვნადი ტრენდი – ფიტოდიზაინი, რომელიც არა მხოლოდ გონივრული გადაწყვეტილება, არამედ ხელოვნების ნიმუშიცაა.

**ვიდრე ვერტიკალური გამწვანება სახლებში აღმოჩნდებოდა**, მას შენობების გარე კედლებზე აკეთებდნენ. ამ შემთხვევაში მცენარეების ზრდასა და სიმწვანეს მზის შუქი და ხშირი მორწყვა უზრუნველყოფდა. დახურულ ოთახებში შესვლის შემდეგ კი განსხვავებული მეთოდების გამოყენება გახდა საჭირო. ასე დაიწყო ბუნებრივი პრეზერვაცია, რომელიც გამწვანების სტაბილიზაციასა და კონსერვაციას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, მცენარეებში არსებული წვენი იცვლება სითხით, რომელიც გლიცერინსა და სხვა ბუნებრივ კონსერვანტებს შეიცავს. ეს ყვავილებს ბუნებრივ იერსა და ტექსტურას წლების განმავლობაში უნარჩუნებს.

**დღეს ფიტოდიზაინს ყველგან შეხვდებით** – პრესტიჟულ სასტუმროებში, გლამურულ რესტორნებსა და მოდურ მაღაზიებში. ყველა, ვინც საკუთარი სახლის გალამაზებასა და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე ზრუნავს, კედლებზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის გამწვანებას ქმნის და ანალოგიურ მეთოდს

*კომპანია IO Verde ბაღებსა და ვერტიკალურ გამწვანებას ზუსტად იქ მოგიწყობთ, სადაც ყველაზე მეტად გჭირდებათ*

იყენებს ლარნაკების, სურათის ჩარჩოებისა და დეკორის სხვა ელემენტების გასაფორმებლად.

**რასაკვირველია,** ამ მშვენიერი იდეის განხორციელება მხოლოდ პროფესიონალებს უნდა მიანდოთ. იმისთვის, რომ თქვენი სახლი, ოფისი, სასტუმრო, მაღაზია თუ სალონი ნამდვილ ოაზისად გადააქციოთ, საქართველოში **IO Verde** არსებობს – კომპანია, რომელიც ბაღებსა და ვერტიკალურ გამწვანებას ზუსტად იქ მოგიწყობთ, სადაც ყველაზე მეტად გჭირდებათ. დროა, ჯადოსნურ გარემოში იცხოვროთ!..

*www.facebook.com/ioverdegeo*

*ვიდრე ვერტიკალური გამწვანება სახლებში აღმოჩნდებოდა, მას შენობების გარე კედლებზე აკეთებდნენ. ამ შემთხვევაში მცენარეების ზრდასა და სიმწვანეს მზის შუქი და ხშირი მორწყვა უზრუნველყოფდა. დახურულ ოთახებში შესვლის შემდეგ კი განსხვავებული მეთოდების გამოყენება გახდა საჭირო*

„ოცნებების“ კონსტრუქტორი

# ჰაკო ალვარესი

## მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა მდიდრულ სასტუმროებსა და სავაჭრო ცენტრებში



ჰაკო ალვარესი „ოცნებების კონსტრუქტორის“ სახლითაა ცნობილი. მისი რესტავრირებულია მსოფლიოს სხვადასხვა მდიდრული სასტუმრო, INDITEX-ის პრესტიჟული მაღაზიები (ZARA, MASSIMO DUTTI, STRADIVARIUS და სხვ.), უზარმაზარი სავაჭრო ცენტრები და ევროპელ დიდგვაროვანთა სასახლეები.

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ალვარესი თავდაუზოგავად შრომობს და საკუთარ ნამუშევრებს მთელ დედამიწას აცნობს. სახელგანთქმულ მეწარმეს დამსახურებულად აფასებენ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. GRUPO LAS ROSAS INTERNACIONAL-ის ხელმძღვანელი დღეს აღმოსავლეთ ევროპაშია და რუსული სასახლეების რესტავრირებითაა დაკავებული. ▶

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ალვარესი
თავდაუზოგავად შრომობს და საკუთარ
ნამუშევრებს მთელ დედამიწას აცნობს.
სახელგანთქმულ მეწარმეს დამსახურებულად
აფასებენ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში

„ჩემთვის ამ სასტუმროზე მუშაობა განსაკუთრებულად საინტერესო იყო. მისმა ელეგანტურობამ და კლასიკურმა დიზაინმა თავიდანვე მომაჯადოვა“

# სასტუმრო GRAN MELIÁ FÉNIX*****
## მადრიდი

სასტუმრო მადრიდის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ მხარეში მდებარეობს და ესპანეთის დედაქალაქის საუკეთესო სასტუმროთა სამეულშია შესული.

„ჩემთვის ამ სასტუმროზე მუშაობა განსაკუთრებულად საინტერესო იყო. მისმა ელეგანტურობამ და კლასიკურმა დიზაინმა თავიდანვე მომაჯადოვა“.

DRY MARTINI BAR იდეალური ადგილია მათთვის, ვინც მრავალფეროვან მენიუს ეძებს. აქ კოქტეილების ექსპერტი, ხავიერ დე ლას მუელასი, სრულიად განსხვავებულ სასმელებს გაგასინჯებთ. ბარში საუკეთესო სიტუაციაა იმისთვის, რომ მეგობრებთან ერთად განიტვირთოთ, ისაუბროთ და თითოეული წამით ისიამოვნოთ.

FOUR SEASONS LOUNGE ელეგანტურობის, კლასიკური სტილისა და თანამედროვე დიზაინის იდეალური ნაზავია.

COFFEE CORNER უამრავი სახეობის ცხელი სასმელით გაგიმასპინძლდებათ. აქ ყავას ნამდვილი იტალიური რეცეპტით მოგიხარშავენ. შეგიძლიათ სხვადასხვა არომატის უგემრიელესი ჩაიც დააგემოვნოთ. გარდა ამისა, იდეალურია გარემო – ულამაზესი შუშის ჭერი, მდიდრული ჩუქურთმები და სვეტები, რომლებიც გარემოს კიდევ უფრო მდიდრულ და დიდებულ იერს ანიჭებს.

ეს მდიდრული და ელეგანტური კიბე სასტუმროს ნომრებთან ადის. ▶

# სასტუმრო EUROSTARS BUENAVISTA*****

## ტოლედო

ტოლედოს „სამი კულტურის ქალაქად“ მოიხსენიებენ. აქ ჰარმონიულად თანაცხოვრობენ ქრისტიანები, მუსლიმები და ებრაელები.

სასტუმრო EUROSTARS BUENAVISTA, რომელიც 2004 წელს აშენდა, სხვადასხვა კულტურას ასეთივე წარმატებით აერთიანებს. აქ ავანგარდული დიზაინი იდეალურადაა შერწყმული ტოლედოს მდიდარ ისტორიასთან.

„ამ სასახლემ დიდებული ისტორიით მომხიბლა. აქ თურმე ისეთი დიდი ადამიანები იკრიბებოდნენ, როგორებიც სერვანტესი და ელ გრეკო არიან“.

LOBBY LOUNGE ჯადოსნური სილამაზის ჭერით გამოირჩევა. შუშის სახურავი, რომელიც თბილ ფერებშია მოხატული, უზარმაზარ სივრცეში მყუდრო და კომფორტულ ატმოსფეროს ქმნის. ლაუნჯის ინტერიერი თეთრი სვეტებითა და მარმარილოს იატაკითაა გამდიდრებული, ერთ-ერთ კედელს კი ძველებური გობელენი ამშვენებს.



„ამ სასახლემ დიდებული ისტორიით მომხიბლა. აქ თურმე ისეთი დიდი ადამიანები იკრიბებოდნენ, როგორებიც სერვანტესი და ელ გრეკო არიან“

„Grand Plaza 2-ის მთავარი მიზანია მდიდრული გარემო ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს“

# სავაჭრო ცენტრი GRAN RÍO 2
## მადრიდი

მადრიდის გარეუბანში მდებარე სავაჭრო ცენტრი GRAN PLAZA 2 ნეოკლასიკურ სტილშია აშენებული. ის 200-ზე მეტ მაღაზიას აერთიანებს.

„GRAND PLAZA 2-ის მთავარი მიზანია მდიდრული გარემო ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს“.

შუშის უზარმაზარი მრგვალი ჭერიდან შენობაში დღის შუქი იღვრება. სავაჭრო ცენტრის დიზაინი კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი და ყველანაირი გემოვნების სტუმარს მასპინძლობს. ▶



„მინდა ყველაფერი სრულყოფილი იყოს. საოცარი შეგრძნებაა, როცა შენობის ევოლუციას პირველივე წამებიდან აკვირდები“

# სავაჭრო ცენტრი PLAZA RÍO 2

## მადრიდი

ეს პროექტი ჯერ არ დასრულებულა. სავაჭრო ცენტრის გახსნა 2017 წლის გაზაფხულზე იგეგმება. 100-ზე მეტ მაღაზიასთან ერთად შენობაში რესტორნებიც განთავსდება. აქვე იქნება ტერასა, საიდანაც ესპანეთის დედაქალაქის, მადრიდის მშვენიერი ხედები გადაიშლება.

„როცა რომელიღაც პროექტზე ვმუშაობ, ყველა დეტალს მკაცრად ვაკონტროლებ. მინდა ყველაფერი სრულყოფილი იყოს. საოცარი შეგრძნებაა, როცა შენობის ევოლუციას პირველივე წამებიდან აკვირდები“.

მშენებლობის საწყის ეტაპზევე ჩანს, რომ პროექტს შთამბეჭდავი შედეგი ექნება. რასაკვირველია, პაკო ალვარესის ხელწერას ერთი შეხედვით იცნობთ.

**ტექსტი**: SOLEDAD MORENO
**ფოტო**: ELVIRA DE SANTIAGO

BNG
თავდაჯერებული
ქალბატონების
არჩევანი!
მაღაზია IXXS, ალ. ყაზბეგის გამზ. 24
SHOPING@AXIS, ტელ.: 032 231 25 33
IXXS

## ანტიკვარული ნივთების მოყვარული

# იგნასიო რომერო მარტინი

**მზად არის თავისი ისტორიები HELLO!-ს გაუზიაროს და ასევე გვადალაჰარაში მდებარე სახლის უიშვიათესი კოლექცია წარმოგვიდგინოს**

„ძალიან მომაბეზრებლად მიმაჩნია მინიმალისტურ სტილში მოწყობილი სახლები. სიუხვე მიყვარს“

**„ნელ-ნელა იაზრებ, რომ ფული არასოდეს გყოფნის – ყოველთვის მეტი და მეტი გინდა. საბოლოოდ კი ხვდები, რომ ამ ნივთების გარეშე ვეღარ არსებობ“**

ანტიკვარული ნივთების მოყვარული იგნა-სიო რომერო მარტინი დღესაც განძის მაძიებელია და მზად არის თავისი ისტორიები HELLO!-ს მკითხველს გაუზიაროს. დეკორატორი გვადალაჰარაში მდებარე სახლში ცხოვრობს. სწორედ აქ ინახება მისი უიშვიათესი კოლექცია...

## აღიარება

„ყველაფრის ერთმანეთში არევა მიყვარს. ყოველთვის მინდა, რომ ყველაფერი, რაც მიყვარს, ერთად იყოს. უკვე ძალიან მომაბეზრებლად მიმაჩნია მინიმალისტურ სტილში მოწყობილი სახლები. სიუხვე მიყვარს“, – ამბობს დეკორატორი, რესტავრატორი და კოლექციონერი, რომელსაც ისეთ ცნობილ ადამიანებთან უმუშავია, როგორებიც ბრედ პიტი, სოფია ლორენი და კენედები არიან.

## ბავშვური გატაცება

გატაცებამ, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში გაჩნდა, კოლექციონერის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. სხვადასხვა საგანძურის ძიებაში იგნასიომ მთელი მსოფლიო მოიარა და თავისი ბიოგრაფია უამრავი საინტერესო ისტორიით გაამდიდრა. „მაშინ მხოლოდ რვა წლის ვიყავი“, – იხსენებს კოლექციონერი, რომელიც გვადალაჰარაში დაიბადა, – „ანტიკვარულ მაღაზიებში დედასთან ერთად დავდიოდი. მას ნახატები აინტერესებდა. პირველი, რაც შევიძინე, ბავშვთა ღმერთის პატარა გვატემალური ქანდაკება იყო. ის შეგრძნება არასოდეს დამავიწყდება! ფული სრულად არ მქონდა. გამყიდველმა, რომელიც მრავალშვილიანი იყო, შემომთავაზა, რომ ფასის ნახევარი იმ ტანისამოსით გადამეხადა, რომელსაც აღარ ვიცვამდი. მეც ავდექი და რაც აღარ მჭირდებოდა მის ვაჟიშვილს ვაჩუქე“.

„პირველი, რაც შევიძინე, ბავშვთა ღმერთის პატარა გვატემალური ქანდაკება იყო. ის შეგრძნება არასოდეს დამავიწყდება“.

## ჩინეთიდან იტალიამდე... ინდოეთიდან მექსიკამდე

იგნასიოს დიზაინი ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული ფერებითა და მდიდრული დეტალებით. მისი სახლი სავსეა თეთრი კერამიკის ნამუშევრებით, რომელიც მინის დინასტიას (ჩინეთი) მთელი თავისი დიდებულებით წარმოაჩენს. აქვეა ევროპელი კლასიკოსების ნახატები, ძვირფასი ანტიკვარული ეშვები და სხვადასხვა საკოლექციო ჭურჭელი. „მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ვიყავი, ძლიერი გატაცების გარდა, ვაჭრობის საოცარი ნიჭიც მქონდა“, – იხსენებს კოლექციონერი, რომელმაც პირველი გამოფენა თოთხმეტი წლის ასაკში მოაწყო.

„როგორც კი პირველ საკოლექციო ნივთს შეიძენ, მაშინვე ავადდები. ნელ-ნელა იაზრებ, რომ ფული არასოდეს გყოფნის – ყოველთვის მეტი და მეტი გინდა. საბოლოოდ კი ხვდები, რომ ამ ნივთების გარეშე ვეღარ არსებობ“, – გვიმხელს იგნასიო.

**საძინებელი ოთახი ზუსტად ასახავს დეკორატორის ეკლექტურ სტილს. აქ შეხმატკბილებულად „თანაცხოვრობენ“ სუნის დინასტიის წარმომადგენლები, რომაული ანტიკვარები და სხვადასხვა ეპოქის შეუფასებელი ნიმუშები. თითოეული ნივთი განსაკუთრებულ ამბავს ყვება**

## ცხოვრება ხელოვნებისთვის

საძინებელი ოთახი ზუსტად ასახავს დეკორატორის ეკლექტურ სტილს. აქ შეხმატკბილებულად „თანაცხოვრობენ“ სუნის დინასტიის წარმომადგენლები, რომაული ანტიკვარები და სხვადასხვა ეპოქის შეუფასებელი ნიმუშები. თითოეული ნივთი განსაკუთრებულ ამბავს ყვება. „რას ვურჩევდი ადამიანს, რომელსაც ამ საქმიანობის დაწყება სურს? – უპირველესად ვეტყოდი, რომ ეს საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია. როგორც კი პირველ საკოლექციო ნივთს შეიძენ, მაშინვე ავადდები. ნელ-ნელა იაზრებ, რომ ფული არასოდეს გყოფნის – ყოველთვის მეტი და მეტი გინდა. საბოლოოდ კი ხვდები, რომ ამ ნივთების გარეშე ვეღარ არსებობ“, – გვიმხელს იგნასიო და როდესაც ვეკითხებით, რომელია მისთვის საოცნებო ანტიკვარი, დაუფიქრებლად გვპასუხობს, – „ჰიერონიმუს ბოსხის „ტკბობის ბაღი“, რომელიც „პრადოს მუზეუმში“, მადრიდში ინახება. ეს ის ნამუშევარია, რომლის გამო მთელ სიცოცხლეს დავთმობდი“.

**ფოტო**: JAIME MARTÍN

ფარიდა კელფა ელზა სკიაპარელის განახლებულ სახლს გვათვალიერებინებს. შავ-თეთრ ფოტოზე მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიზაინერია აღბეჭდილი.

## ყველაზე გავლენიანი დიზაინერის კოკო შანელის კონკურენტი

# ელზა სკიაპარელი

## პარიზული სახლის კარს გვიხსნის და დალისა და ჭაკომეტის შეუფასებელ ნამუშევრებს გვათვალიერებინებს

ფოტოზე აღბეჭდილია ოქროს ჩარჩოში ჩასმული სარკეები. ეს მშვენიერება ივ სენ-ლორანის შემოქმედებაა.

ფოტოებზე ნაჩვენები ავეჯის დიზაინი ვისენტ დარეს ეკუთვნის. ის ყველანაირად შეეცადა, თითოეულ ნივთში სკიაპარელის ხასიათი ჩაედო. მარმარილოს მაგიდა, რომელიც ქვედა კადრში ჩანს, დაახლოებით ორმოცი წლის წინანდელია.

# დალი და ჯაკომეტი ამ სახლის სიურრეალისტური დიზაინის განუყოფელი ნაწილები არიან

ვეთილი იყოს თქვენი მობრძანება მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დიზაინერის, და კოკო შანელის კონკურენტის – ელზა სკიაპარელის სახლში. მისი თანამედროვე წარმომადგენელი – ფარიდა კელფა, პარიზული სახლის კარს გვიხსნის და დალისა და ჯაკომეტის შეუფასებელ ნამუშევრებს გვათვალიერებინებს.

VENDÔME-ის პარიზული სასახლე ხელოვნებისა და ფანტაზიის პატარა სამყაროა, სადაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდის დიზაინერის გემოვნება სიურრეალისტურ ელფერს იძენს. ქალაქის ჯადოსნურ კუთხეში აშენებული სახლი, რომელიც კოკო შანელის მთავარ კონკურენტს ეკუთვნოდა, სულ ცოტა ხნის წინ განაახლეს და MAINARDI STUDIO-ს დახმარებით კიდევ უფრო ლამაზ და მდიდრულ ადგილად აქციეს. ვინაიდან ბრენდის გაცოცხლება იგეგმება, ეს ლოკაცია დროდადრო ალბათ შოურუმის ფუნქციებსაც შეითავსებს.

ეს სახლი აუცილებლად მოგაგონებთ მუზეუმს, რომელშიც ერთდროულად შეხვდებით ალბერტო ჯაკომეტის დახვეწილ შემოქმედებას,

ერთ-ერთ ოთახში ვხვდებით სფინქსს, რომელსაც სკიაპარელის შემოქმედება ამშვენებს. ეს ქანდაკება დიზაინერის ბუტიკში შოურუმის ნაწილს წარმოადგენდა. აქვეა სანათი, რომელიც გამოქანდაკებულ ოქროს ხელს უჭირავს. კედელზე ილუსტრატორ პიერ ლე-ტანის უბარმაბარი ნახატი ჩანს. თეთრი საფერფლეები ჟან-მიშელ ფრანკის შემოქმედებაა. ხალიჩაზე კი, რომელიც გასული საუკუნის ორმოციან წლებს განეკუთვნება, ფელიქს მარსილაკის მუსიკალური ინსტრუმენტებია დახატული.

## ქრისტიან ლაკრუა პირველი დიზაინერი იქნება, რომელიც სკიაპარელის შემოქმედებას ახალ სულს ჩაჰბერავს. შთაგონების მთავარი წყარო, რასაკვირველია ის 18 ნამუშევარი იქნება, რომელთა მაკეტები ელზასა და სალვადორ დალის თანამშრომლობით შეიქმნა

ივ სენლორანის რჩეულ ნამუშევრებს, ოქროს ჩარჩოში ჩასმულ ტრიპტიქებს და სალვადორ დალის ნახატებს. სწორედ ამ კატალონიელი მხატვრის დახმარებით გაიკვალა გზა ელზა სკიაპარელმა იმ პერიოდში, რომელიც მოდის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა.

ამ საოცარ „მუზეუმში“ სტუმრების მთავარი გზამკვლევი ფერიდა კელფაა – დიზაინერის სახელგანთქმული მემკვიდრე და ბრენდის ახალი მუზა, რომელიც ამ ადგილს „მოდის არტერიად“ მოიხსენიებს. სკიაპარელის ბრენდი, რომელიც 1954 წელს ეკონომიკური კრიზისის გამო დაიხურა, ახალ სიცოცხლეს სულ მალე დაიწყებს და სრულიად განსხვავებულ სიტყვას იტყვის.

სალვადორ დალისთან მეგობრობა მკვეთრად აისახა სკიაპარელის შემოქმედებაზე. ეს, რასაკვირველია, მისი სახლის სიურრეალისტურ დიზაინსაც დაეტყო. აქ ყველაფერი ზუსტად ▶ ისეთი სირბილითა და სიფრთხილითაა

## სკამების, დივნებისა და ავეჯის დიზაინი ძალიან შორს არის ტრადიციული, კლასიკური სტილისგან

შექმნილი, როგორც მხატვრის ნამუშევრები. დალის ხელი დიზაინერის ორიგინალურ და ყველასგან გამორჩეულ კოლექციებსაც ეტყობა და გასაკვირი არცაა, რომ მათ შექმნაში ესპანელი გენიოსი უშუალოდ მონაწილეობდა.

**ტექსტი**: NATY ABASCAL
**ფოტო**: RICARDO LABOUGLE

ბრენდის განახლებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული წვეულება მოეწყო, რომელსაც ფარიდა კელფა მასპინძლობდა. ესპანეთი ტამარა ფალკომ წარმოადგინა. ფოტოზე ის ქრისტიან ლაკრუასთან ერთად ჩანს. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სკიაპარელის ბრენდის გაცოცხლებაში. ასეთივე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნატი აბასკალს, რომელიც სურათზე ანა დელო რუსოსთან ერთადაა აღბეჭდილი. წვეულება არც ტატიანა სანტო დომინგომ გამოტოვა და ისტორიულ მოვლენას სიხარულით დაესწრო.



# მეცნიერება ჯანსაღი თმის შესახებ

## ახალი ერა თმის მოვლის სფეროში!

NIOXIN-ი სუსტი, შეთხელებული და უსიცოცხლო თმისადმი ინოვაციური მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია თავის კანის მოვლაზე!

NIOXIN®

№1 სალონური ბრენდი, 25 წლიანი გამოცდილებით. 12 ჯერ გამარჯვებული კონკურსში „სტილისტის არჩევანი“.
*იკითხეთ სილამაზის სალონებში*

ვ. დოლიძის ქ. 46, თბილისი
**+995 032 229 58 00**
proflinecosmetics@yahoo.com
FB/WellaProfessionalsStudioGeo

Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიქსი

NIOXIN-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

„მე მგონი პერფექციონისტი ვარ და ამავდროულად ძალიან იღბლიანი ქალი“

# ევა ჩოუ

## სახლზე ლოს-ანჯელესში და თავის მისიაზე დააკავშიროს კინოსა და ხელოვნების სამყარო ერთმანეთთან



ევას მდიდრული სახლი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც მე-16 საუკუნის ესპანური ეკლესიის ბოძებზე დგას. 3 000 კვადრატული მეტრი ფართის სახლს აქვს საცურაო აუზიც, რომელიც სტუმრების ოთახების გვერდით მდებარეობს (მარცხენა ფოტო). ევას მეუღლე – მაიკლი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი რესტორნების Mr. Chos-ის ქსელის დამაარსებელია, ნიჭიერი მხატვარია და პავილიონს სახელოსნოდ იყენებს.

**ხელოვნების ყოველწლიური „ოსკარის“ გასამართად რესტორნების მაგნატ მაიკლ ჩოუს მეუღლე ევამ თანამშრომლობა ლეონარდო დიკაპრიოსთან დაიწყო**

**„უპირველესად ლეოზე იმიტომ ვიფიქრე, რომ ვგიჟდები მასზე, როგორც მსახიობსა და პიროვნებაზე. ლეოს ავტორიტეტი აქვს“**





როგორც ჰოლივუდის მაღალი საზოგადო-ების წევრები, ევა და მაიკლი თავის სახლში წვეულებებს რეგულარულად მართავენ. 300 კვადრატული მეტრი ფართის სალონი 10 მეტრი სიმაღლის ჭერით, საამისოდ იდეალური სივრცეა (ზევით). თანამედროვე ხელოვნების მათი კოლექცია მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინოა. ამ ოთახში კოლექციის ორი უმთავრესი ნიმუშია წარმოდგენილი: მხატვრისა და კინორეჟისორის – ჯულიან შნაბელის ნამუშევარი (ზევით) და დემიენ ჰესტის „წერ-ტილოვანი“ ნახატი (მარცხნივ).

მარჯვნივ: ევა Givennchy-ს კაბაში, რო-მელიც მას პირადად დიზაინერმა რიკარდო ტიშიმ გამოუგზავნა.

არის თუ არა ლოს-ანჯელესი შეერთებული შტატების თანამედროვე ხელოვნების დედაქალაქი? არის თუ არა Art & Film Gala-ს ორგანიზატორი ევა ჩოუ დღეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალი ხელოვნების სამყაროში? ბევრი ადამიანი ამ შეკითხვებს დადებითად უპასუხებს. მაგრამ ვინ არის ევა ჩოუ? აქამდე მას როგორც მსოფლიოში ცნობილ რესტორნების ქსელ Mr. Chow-ს მფლობელის მაიკლ ჩოუს მეუღლესა და ბიზნესპარტნიორს იცნობდნენ. ასევე იგი ცნობილია თავისი ხანმოკლე, მაგრამ წარმატებული მოდის დიზაინერის კარიერით, რაზეც ორსულობისას უარი თქვა. კიდევ ერთი რამ, რაც მას პოპულარობა მოუტანა არის ის, რომ ევა თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დიდ კოლექციას ფლობს. 2011 წლის ნოემბრიდან კი ევა ჩოუ საერთაშორისო ფიგურა გახდა. სწორედ ამ დროს მან ორგანიზება გაუკეთა პირველ LACMA Art & Film Gala-ს. „მე და მაიკლი წლებია ვფლობდით LACMA-ს“, – ყვება ევა (რედ. შენიშვნა: LACMA– ლოს-ანჯელესის ოლქის ხელოვნების მუზეუმი), – „ერთ დღეს კი მუზეუმის დირექტორმა მაიკლ გოვანმა კინოსა და ხელოვნების სინთეზი შემოგვთავაზა. ასე მოვიდა „გალას“ იდეაც. მე გავხდი თავმჯდომარე, ჩემს მოადგილედ კი ლეონარდო დიკაპრიო დავნიშნე. მაგრამ რატომ მაინცდამაინც დიკაპრიო? უპირველესად იმიტომ, რომ ის და ევა შესანიშნავად ეწყობიან ერთმანეთს, მეორე კი ის, რომ ლეონარდო თავადაც კოლექციონერია და მესამე... იმიტომ, რომ ვგიჟდები მასზე როგორც მსახიობზე და როგორც პიროვნებაზე“, – ამატებს ევა, – „ის ზრუნავს გარემოზე ▶

„ოქროსფერი ოთახი“ კედლებზე ოქროსფერი თხელი შპალერითა და ოქროსფერი ავეჯითაა გაწყობილი (ზევით), ბუხრის თავზე კი პოპ-მხატვრების - ამერიკელ როი ლიხტენშტეინისა და ბრიტანელ პიტერ ბლეიკის ნამუშევრებს ნახავთ. სარდაფში ღვინის მარანი და ბილიარდის სათამაშო მაგიდაა განთავსებული (ქვევით).

და აქტიურად არის ჩართული ისეთ საკითხებში, როგორებიცაა მაგალითად გლობალური დათბობის პრობლემა. ამჯერად ერთად უნდა გადავწყვიტოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა თუ ვინ იქნება „გალას“ რჩეული ყოველ წელს“.

ევა დისციპლინირებული, შრომისმოყვარე და მიზანდასახული ადამიანია. ეს თვისებები სამხრეთ კორეაში, კერძოდ კი სეულში მისი აღზრდის შედეგია. მას ძალიან გაუმართლა – მე-20 საუკუნის გამოჩენილი აკვარელისტები ევას ბაბუის მეგობრები იყვნენ, შესაბამისად ხელოვნების კუთხით მას ბავშვობიდანვე პროფესიონალი მენტორები ჰყავდა.

„მე მგონი პერფექციონისტი ვარ და ამავდროულად ძალიან იღბლიანი ქალი, რომლის მეუღლე ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარე და ნიჭიერი ადამიანია, ვინც კი ოდესმე შემხვედრია“, – აღიარებს ჩოუ, – „მე და მაიკლს ერთად გვიყვარს პროექტებზე მუშაობა. ერთმანეთისგან განვსხვავდებით, თუმცა ერთმანეთს ვავსებთ კიდეც“.

პირველი რესტორანი მაიკლმა ვალენტინობის დღეს, ლონდონში 1968 წელს გახსნა. „ის ყოველთვის სწორ დროს სწორ ადგილასაა: ლონდონი 1960-იანებში, ნიუ-იორკი 1980-იანებში და ამჯერად ლოს-ანჯელესი. ვაპირებთ რესტორნების გახსნას ლას-ვე- ▶

## ცხოვრებისეული ფაქტები

• ევა სეულში დაიბადა. მამამისი ბანკირი იყო, ბაბუა კი სამხრეთ კორეაში პირველი გაზეთის დამფუძნებელი.

• მან „კოქტეილ“-სტილის კაბების ძალიან წარმატებული ხაზი შექმნა და მიუხედავად იმისა, რომ თავი გაანება დიზაინერულ კარიერას როცა დედა გახდა, დღემდე აქტიურადაა ჩართული მოდის სამყაროში.

• LACMA – ევას წვეულებაა, ისევე როგორც Met Ball – ანა ვინტურის.

• მაიკლი შანხაიში დაიბადა. მამამისი Peking Opera-ს Grand Master გახლავთ. მაიკლი არქიტექტურას სწავლობდა. საკუთარი რესტორნების ინტერიერს დიზაინი თავად გაუკეთა – ისევე, როგორც „არმანის“ ბუტიკების დიზაინი.

• ნათამაშები აქვს არაერთი ეპიზოდური როლი კინოში. ხატვას 50-წლიანი პაუზის შემდეგ – 2012 წელს დაუბრუნდა. ცნობილი მხატვრები (ვის ნამუშევრებსაც ადრე მაიკლი ყიდულობდა) ახლა მისი ნახატების შესაძენად რიგში დგანან.

**„მე და მაიკლს ერთად მუშაობა გვიყვარს. ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით, მაგრამ სრულებით ვავსებთ ერთმანეთს“**

## „ვფიქრობ, მაიკლი, სხვა თავის უნარებთან ერთად, დაიბადა იმისთვის, რომ იყოს მხატვარი“

გასში, მეხიკოში, დოჰასა და მაიამი ბიჩზე. საკუთარი ღვინო გვაქვს და ასევე ინტერნეტით ვყიდით ცნობილ ჩილი საწებელს – ხალხი მას სუფრიდანაც კი იპარავს! – და სხვა პროდუქტს. ჩვენს ქსელს მალე სასტუმროებიც შეემატება. ძალიან დატვირთული პერიოდი გვაქვს. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ მაიკლი ხატვას მიუბრუნდა!“

50 წლის შემდეგ მაიკლ ჩოუმ ისევ აიღო ხელში ფუნჯი“. WARHOL-ის მუზეუმში გამოფენა აქვს, მაიკლზე დიდი მოთხოვნაა, მხატვრები, რომლის ნამუშევრებსაც ადრე თავად ყიდულობდა, ახლა მისი ▶

**ბიბლიოთეკა გაფორმებულია მაკასარის ეკალმუხით, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1920-იანი და 1930-იანი წლების არტდეკოს პერიოდში (ზევით). წითელი მარმარილოს ბუხარი შოტლანდიის ერთ-ერთი სასახლიდან ჩამოიტანეს, სასადილო ოთახში კი მაიკლის ერთ-ერთ ნახატს ნახავთ (ქვევით). მარცხნივ: სამხრეთკორეელი ევა Lanvin-ის სამოდელო სახლის ერთ-ერთი დიზაინერის - ალბერ ელბაზის ლეოპარდის პრინტის კომბინეზონით პოზირებს.**

**ევა ცნობილია თავისი წვეულებებით. იგი ჰოლივუდის მაღალი ფენის წარმომადგენლებს მასპინძლობს**

**სახლის კინოთეატრი, რომელიც მიწისქვეშ მდებარეობს, 30 ადამიანს იტევს. თუკი ფილმი არასაკმარისად საინტერესო გამოდგა, სტუმრებს საშუალება აქვთ ფანჯრებში საცურაო აუზის სიღრმე შეიმეცნონ (მარცხნივ).**

ნახატების შეძენას ლამობენ. სასწაულია“! – აღფრთოვანებას ვერ მალავს ევა. საერთო ინტერესების გარდა წყვილს ერთადერთი ქალიშვილი – ეიჟა, აერთიანებს. ის ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტია, მუშაობს მოდელადაც, SHISEIDO-ს ახალი სახეა. საოცარი პიროვნებაა – თავაზიანი, განათლებული, მგრძნობიარე... სინამდვილეში, ეიჟა ჩემი ქალის იდეალია. რომ გავიზრდები, მინდა მას ვგავდე!“ – აღიარებს ევა.

**ტექსტი**: VICTORIA DE ALCAHUD
**ფოტო**: CESAR VILLORIA
**ვარცხნილობა და მაკიაჟი**: PHOEBE OGAN, MICHELLE VAN DER HULE

## ვარსკვლავების მეგობარი

**ევა გვინეტ პელტროუსთან (მარჯვნივ) და ქეით ჰადსონთან ერთად (ქვევით). LACMA-ს გალაზე თავის მარჯვენა ხელთან –ლეონარდოსთან და კლინტ ისტვუდთან (ქვევით). ევა – წარსულში წარმატებული დიზაინერი, ღონისძიებას უფრო მეტ მოდურობასა და გლამურს მატებს – საღამოს სპონსორი ხომ Gucci-ა.**

ლიუქი, ჯული და მათი შვილები - ემა, უილიამი, ნესტორი და ჯეკი დორსეტში, დიდებულ Mapperton House-ში.

„აქ ისეთი სიმშვიდეა – არავითარი თვითმფრინავები და გზები, ყველაფერს მოწყვეტილი ხარ“

# ჰინჩინგბრუკის ვიკონტი

## და მისი მეუღლე ჯული თავიანთ ისტორიულ სასახლეში გვეპატიჟებიან და მოგვითხრობენ როგორ გააძლიერა რთულმა პერიოდმა მათი სიყვარული

ლიუქი (Luke) და ჯული მონტაგუები – ჰინჩინგბრუკის ვიკონტი და ვიკონტესა, ოთხ შვილთან ერთად ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ Mapperton-ის სახლს ფლობენ. ეს არის ადგილი, სადაც სიმყუდროვე ნებისმიერ ამინდში იგრძნობა. „ტიუდორის სასახლე“ გაშლილი ველის შუაგულში მდებარეობს, გარშემორტყმულია გორაკებით, ტყით, და „დორსეტის იდუმალი ნაწილია“, – ამბობს ლიუქი. „ეს არის ჩვენი ინგლისის ნაწილი. აქ ისეთი სიმშვიდეა – არავითარი თვითმფრინავები და გზები. ყველაფერს მოწყვეტილი ხარ“. ოჯახის დევიზი ლათინურიდან ითარგმნება როგორც „ამდენი კატასტროფის შემდეგ, ნავსადგური“. ეს ფრაზა ზუსტად ერგება ამ ოჯახის ბოლოდროინდელ ისტორიას. ლიუქი, რომელიც Sandwich-ის გრაფობის მემკვიდრეა, სამი წელი ლოგინს იყო მიჯაჭვული. მიზეზი ▶

**Mapperton House-ის ნაწილი მე-16 საუკუნის შუა პერიოდით თარიღდება, ჰოლი (ზევით) კი 1660 წლით. იარაღის კოლექცია ბუხრის თავზე უინჩესტერის მარკიზს ეკუთვნოდა, მონტაგუები კი ამ სახლს 1955 წლიდან ფლობენ. სახლი სამხრეთ დორსეტის პარლამენტის ყოფილმა წევრმა და ლიუქის ბაბუამ - ვიქტორ მონტაგუმ იყიდა.**

20 წლის მანძილზე სამედიცინო პრეპარატების არასწორი დანიშნულებით მოხმარება იყო. ამ ეტაპზე ის თითქმის გამოვიდა მდგომარეობიდან, თუმცა გარკვეული პოსტსიმპტომები მაინც დარჩა. ზოგი წყვილი ასეთი სირთულის გადალახვას ვერ შეძლებდა, ლიუქი და მისი ამერიკელი მეუღლე – 44 წლის იოგას ინსტრუქტორი, კვების ექსპერტი და რეალითი შოუს Ladies of London ვარსკვლავი ჯული ერთმანეთს გვერდში ამოუდგნენ. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან: ლიუქი მშვიდი, ზომიერად ემოციური, ჯული კი ენერგიული, მუდამ მომღიმარია. სწორედ ეს ამყარებს მათ ქორწინებას, რომელიც უკვე 12 წელს ითვლის.

**„სირთულეებთან გამკლავება დიდი ხნის შემდეგ შინ დაბრუნებას ჰგავს“**

წყვილის მორიგი გამოწვევა Mapperton-ის სახლია, რომელიც ცოტა ხნის წინ ლიუქის მშობლებისგან გადმოეცათ. სახლი თავისი გახუნებული საღებავით, გაცვეთილი ხალიჩებითა და წინაპრების პორტრეტებით, ელეგანტური შარმის მატარებელია. მისი ბაღები კი ყოველწლიურად 13 000-მდე მნახველს იზიდავს. თუმცა მონტაგუები უფრო მეტი ადამიანის მოზიდვას გეგმავენ, გადააკეთებენ რა საჯინიბოებს სპეციალურ სივრცედ, სადაც ქორწილები, იოგასა და მედიტაციის კურსები, ან თუნდაც სეზონური კინოჩვენებები გაიმართება. „სირთულეები გაშინებს. მაგრამ ამავდროულად ეს დიდი ხნის შემდეგ შინ დაბრუნებას ჰგავს“, – ამბობს ლიუქი.

ის ლონდონში გაიზარდა და ამჟამად ყოველ კვირა Wandsworth-ში მდებარე ოჯახური სახლიდან Mapperton-ში დადის. ჯული და ბავშვები – ემა, 17 წლის, ჯეკი, 15 წლის, ჯულის პირველი ქორწინებიდან, უილიამი, 11 წლის, და ნესტორი, 9 წლის, ლიუქთან ქორწინებიდან, შეძლებისდაგვარად დაჰყვებიან ხოლმე მას. ჯულისთვის, რომელიც ილინოისის პატარა ქალაქში გაიზარდა, ეს სახლი და ოჯახის ისტორია, ცნობილი სახელის ჩათვლით, „ზღაპრის“ ტოლფასია. „ამერიკაში ყველა გიყდებოდა პრინცესა დიანაზე და როგორც კი გაიგებენ, რომ ლედი ვარ, საოცარ შეკითხვებს მისვამენ. მაგალითად უკითხავთ, ხომ არ ვენათესავები პრინც უილიამსა და პრინც ჰარის. ძალიან სასაცილოა. არ ვაპირებ გადავიქცე ინგლისელად, პირიქით – მინდა Mapperton-ს ამერიკული სული შთავბერო“. სახლი „გაჟღენთილია“ ისტორიით, წინამორბედი გრაფების პორტრეტები კი ათასობით ამბავს გადმოსცემს. მელნით შესრულებულ ნახატზე გამოსახულია Sandwich-ის პირველი გრაფი – სამხედრო-საზღვაო მინისტრი, რომელმაც არ მიატოვა თავისი გემი ბრძოლის დროს, იმის მიუხედავად, რომ გემი იძირებოდა. სინამდვილეში ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებდა. ბუხრის თავზე კი მართა რეის პორტრეტი ჰკიდია. მართა, რომელიც ოპერის ცნობილი მომღერალი და Sandwich-ის მე-4 გრაფის საყვარელი გახლდათ, ტრაგიკულად დაიღუპა – ყოფილმა საყვარელმა მას ესროლა და ადგილზე მოკლა.

## ტრანსატლანტიკური მიზიდულობის ძალა

ჯული ლონდონში საცხოვრებლად

(ნინა ბვერდზე) ემას ჯეკერ: LIPSY. ჯინსი: RIVER ISLAND. ნესტორის ჯეკერ: BRORA. ლიუქის შარვალი: JOHN LEWIS. ჯულის ფარანი: LK BENNETT. ფარანი: COMPTOIR DES COTONNIERS. ჯინსი: RIVER ISLAND. ჯინის ჯეკერ: BRORA.
(მარჯვნივ) ჯულის ჯეკერ, ეზდანბრელი & ფესსანგელი: LK BENNETT. სამაჯრი: LOLA ROSE. ლიუქის ჯეკერი და შარვალი: JOHN LEWIS

ლიუქს სახლთან მიმართებაში დიდი გეგმები აქვს

ჯული და ნესტორი მე-17 საუკუნის სამზარეულოში (ზევით) და ოჯახთან ერთად მისაღებ ოთახში (მარჯვნივ), მართა რეის პორტრეტის წინ. მართა სენდვიჩის მე-4 გრაფის საყვარელი გახლდათ; სასადილო მაგიდა (ქვევით) ჩიპენდეილის სკამებით.

## სახლი „გაჟღენთილია“ ისტორიით, წინამორბედი გრაფების პორტრეტები კი ათასობით ამბავს გადმოსცემს

(ზევით) ბარხანეზე ჯულის ჰერანები: RIVER ISLAND. ჩინსი: NEW LOOK. ფეხსაცმელი: FRENCH SOLE. ყელსაბამი: AMANDA WAKELEY. (ბოლოსთან) უილიამისა და ჯეკის ჯემპრები: BRORA. ჯულის ბადე: AMANDA WAKELEY. ჩინსი: RIVER ISLAND. სამაჯურები: LOLA ROSE. ლიუქის ჯემპრი: N PEAL. ბანდელი: JOHN LEWIS. ნესტიერის ჯემპრი: BRORA

დაახლოებით 28 წლის ასაკში გადმოვიდა და ერთ-ერთ ტექკომპანიაში დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში მის ქორწინებას ემასა და ჯეკის მამასთან წერტილი დაესვა. ორი წლის შემდეგ კი, 2003 წელს, ერთ-ერთ წვეულებაზე მან ლიუქი გაიცნო. იმ პერიოდში ლიუქი ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა. „რაინდს ჰგავდა, ძალიან თავაზიანი იყო“, – იხსენებს ჯული. ლიუქს კი ჯულის გრძელი ფეხები და ლურჯი თვალები მოეწონა („მწვანე ძვირფასო“, – უსწორებს ჯული) და ისიც, რომ ჯული ე.წ. Cheerleader-ი იყო. „ჯული გულწრფელი და ენერგიულია. ძალიან უშუალო. ამერიკელები უფრო ხალისიანები არიან“.

წყვილი 2004 წელს დაქორწინდა. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება და დატვირთული სამუშაო რეჟიმი იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ლიუქმა ანტიდეპრესანტებისა და საძილე აბების მიღება არ შეწყვიტა. ამ წამლებს ის 1990 წლიდან იღებდა. მაშინ, 19 წლის ასაკში გადატანილი ოპერაციის შემდეგ, მას თავის საშინელი ტკივილები დასჩემდა და ექიმმა ანტიდეპრესანტები დაუნიშნა. წლების მანძილზე ლიუქი ექიმების მიერ გამოწერილ სხვადასხვა წამალს იღებდა. ცდილობდა კიდეც თავის დანებებას, როგორც მაგალითად, 2002 წელს, თუმცა პოსტმდგომარეობა ისეთი საშინელი იყო (მეხსიერების დაკარგვა, ზედმეტი აღგზნებულობა და თავბრუსხვევა), რომ კვლავ ამ წამლებს დაუბრუნდა და თავიც უკეთ იგრძნო. „დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც მჭირდა. იმას კი ვერ ვაცნობიერებდი, რომ წამალზე დამოკიდებული ▶

„არ ვაპირებ გადავიქცე ინგლისელად, პირიქით – მინდა MAPPERTON-ს ამერიკული სული შთავბერო“

ჯული 90-ქვემეხიანი გემის 1680 წლის მოდელთან პოზირებს; Sandwich-ის საგრაფოს გრძელი საფლოტო ისტორია აქვს, მეოთხე გრაფი სამხედრო-საზღვაო მინისტრი გახლდათ და კაპიტან კუკის ვოიაჟებს აფინანსებდა.



ფოტო: BRUNELLO CUCINELLI

მეორე სართულზე, ე.წ. Great Chamber (მინიშნება: მნიშვნელობით მეორე ოთახი ტიუდორების სასახლეში) საძინებლად გადაკეთდა (ზევით), თუმცა საუკუნეების წინ აქ შესაძლოა მისაღები ოთახიც ყოფილიყო. დაახლოებით 1550 წელს შესრულებული ჭერის მოხატულობა ამ სახლში დახვეწილობის ერთ-ერთი გადარჩენილი ნიმუშია. მდიდრულად გაფორმებული, მოშალაშინებული კედელი ასევე სტუმრების ოთახში გვხვდება (ქვევით).

გავხდი“, – იხსენებს ლიუქი. 2008 წელს მან კიდევ ერთხელ სცადა თავის დანებება, ხოლო პირადმა ექიმმა ურჩია ერთ-ერთი კლინიკისთვის მიემართა, სადაც პოსტსიმპტომებს გამოიკვლევდნენ. კლინიკაში უთხრეს, რომ სამუშაოს რამდენიმე კვირაში დაუბრუნდებოდა, თუმცა ამას სამი ჯოჯოხეთური წელი მოყვა.

## დაკარგული წლები

„არ შემეძლო სიარული, ვერ ვხედავდი, ვერ ვკითხულობდი, ტელევიზორსაც კი ვერ ვუყურებდი. ვგრძნობდი, რომ ჭკუიდან ვიშლებოდი. ეს იყო ყველაზე საშინელი პერიოდი და ის არ მთავრდებოდა“, – იხსენებს ლიუქი. ჯული ამბობს, რომ ლიუქს ჩიტების ჭიკჭიკიც კი აღიზიანდება. მოსიყვარულე ცოლი კი ყველანაირად ცდილობდა პოზიტიური ყოფილიყო, მუდამ ამხნევებდა მეუღლეს. მაგრამ ამ ტანჯვასა და ტკივილს ბოლო არ უჩანდა. „ბევრი გვიტირია ერთად. ძალიან რთული მომენტები გამოვიარეთ“.

## საყვარელი მამაკაცის გვერდით

„არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემი ცხოვრების მამაკაცი მიმეტოვებინა. მე მისი ყველაზე დიდი მხარდამჭერი ვიყავი. ლიუქს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ გამიგებდა თუკი მის დატოვებას გადავწყვეტდი. მაგრამ ასეთ დროს ეს არის უკანასკნელი რამ, რასაც ცოლი გააკეთებს. ვხედავდი მის ტკივილს“. ჯულის ფინანსურ მხარეზეც მოუწია ფიქრი. მან იოგა აღმოაჩინა, რომელმაც ის „უკეთესი დედა, ცოლი და მეგობარი“ გახადა. სპეციალური ტრენინგკურსის გავლის შემდეგ, ჯული თავად გახდა იოგას ინსტრუქტორი, დადიოდა კარდაკარ, ტოვებდა სარეკლამო ბუკლეტებს, ხოლო გაკვეთილების ჩასატარებლად ეკლესიებში დარბაზს ქირაობდა. ამჟამად ჯულის იოგას გაკვეთილები წინდაწინ გაწერილია, არსებობს მომლოდინეთა სიაც. იოგას კვებით დაინტერესება მოჰყვა. კიდევ ერთი კურსის გავლის შემდეგ ჯულიმ წამოიწყო საკუთარი ბლოგი საკვებზე – The Flexi Foodie. შემდეგ გამოსცა ორი კულინარიული წიგნი, მესამე კი დამუშავების პროცესშია.

დიდი ტკივილის მიუხედავად, ჯული გასულ სამ წელიწადში პოზიტიურსაც ხედავს. „ამ რეალობამ დაგვაახლოვა. როდესაც მსგავსი რამ ხდება, ის ან განგრევს ან გაძლიერებს. ჩვენ გავძლიერდით“, – ამბობს ჯული.

ლიუქმა შექმნა სპეციალური ჯგუფი The Council for Evidence-Based Psychiatry, რომლის კამპანია ფსიქოტროპული წამლებისგან მიღებული ზიანის კვლევას ითვალისწინებს. ▶

## „როდესაც მსგავსი რამ ხდება, ის ან განგრევს, ან გაძლიერებს. ჩვენ გავძლიერდით“, – ამბობს ჯული

„ლიუქს მიაჩნია, რომ ჯერ მთლიანად არ დამიბრუნდა, თუმცა მე ასე არ მგონია. უბრალოდ, ეს ლიუქი განსხვავდება 4 წლისწინანდელი ლიუქისგან“, – ამატებს ჯული. სანამ ჯული მუ-შაობდა, ლიუქი ბავშვებს უვლიდა და ტკბებოდა მომენტით, რომელიც „ძვირფასი და შეუცვლელია“. „საუკეთესო მამაა“, – აღნიშნავს ჯული.

„უცვლელი არაფერია და ასეც უნდა იყოს. სხვანაირად უყურებ სამყაროს. ამან სიცოცხლით უფრო ამავსო. საშიში აღარაფერია“, – ამბობს ლიუქი, რომელსაც სახლთან მიმართებაში დიდი გეგმები აქვს. ინფრასტრუქტურას გაუმჯობესება სჭირდება — სახლთან მისასვლელი ახალი გზა, ავტოსადგომი, ჩაის ოთახი. მანამდე კი ჯული გააგრძელებს იოგას გაკვეთილებს, ბლოგისა და წიგნების წერას, და რასაკვირველია Ladies of London-ის გადაღებებში მონაწილეობას.

„ოპტიმისტურად და იმედიანად ვარ. ეს ახალი დასაწყისია“, – ასრულებს საუბარს ლიუქ მონტეგუ. მწეც ჩადის და ულამაზესი ბაღები, შადრევნები, აუზები და ორანჟერეა ღამის წყვდიადს უერთდება. ეს ადგილი მართლაც ნავსაყუდელია ამ აფორიაქებულ სამყაროში. **H**

**ტექსტი**: ROSALIND POWELL
**ფოტო**: TIM BEDDOW
**სტაილინგი**: GAYLE RINKOFF
**ვარცხნილობა და მაკიაჟი**: AMANDA CLARKE AT JOY GOODMAN

ბაბა: LK BENNETT. ფეხსაცმელი: NEW LOOK

ჯული იოგასა და ჯანმრთელი კვების წყალობით სიჯანსაღის განსახიერებაა. როგორც ჩანს, Mapperton-ის სახლი და ბაღებიც (მარჯვნივ) თერაპიული მოქმედებით გამოირჩევა.

# გამოიწერეთ

HELLO! GEORGIA DECOR

## და მიიღეთ საჩუქარად HELLO! GEORGIA

7₾

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით

HELLO!

თქვენს ოჯახებს საჩუქრით ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.
**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# უზარმაზარი ვილების მფლობელები

# დოლჩე და გაბანა

## იტალიურ ოაზისში გვამოგზაურებენ

**ისინი მთაში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს ცხოვრობენ და ანანასის, ევკალიპტის, პალმისა და ზეთისხილის ხეების გარემოცვით ტკბებიან**

დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა (თეთრი პერანგით) VILLA OLIVIETTA-ს შესასვლელში პოზირებენ. ვილის ირგვლივ ანანასის, ევკალიპტის, პალმისა და ზეთისხილის ხეებია. გზა პირდაპირ ზღვის სანაპიროსთან გადის.



გულშემატკივრები კარგად იცნობენ მათ სახლებს სტრომბოლიში, მონტე-კარლოსა და მილანში, თუმცა ცოტამ თუ იცის რა ხდება იმ კედლებს მიღმა, რომლებიც დომენიკო დოლჩემ და სტეფანო გაბანამ პორტოფინოში აიშენეს. HELLO!-მ ექსკლუზიურად იმოგზაურა დიზაინერების მდიდრულ ვილებში, რომელთაგან LA CISTERNA და VILLA BLANCA – დოლჩეს, VILLA OLIVETTA და VILLA LAVINA კი გაბანას ეკუთვნის.

ორივე შენობა მთის კალთებზეა აშენებული. სახლები მე-19 საუკუნის დასაწყისში ააგეს. ეს ის პერიოდია, როცა მილიარდერი ინგლისელები, გერმანელები და იტალიელები მიმდებარე ტერიტორიაზე ნამდვილ სასახლეებს ქმნიდნენ. ირგვლივ ანანასის, ევკალიპტის, პალმისა და ზეთისხილის ხეებია. გზა პირდაპირ ზღვის სანაპიროსთან გადის. ამ სიმდიდრის ყიდვა თავის დროზე სილვიო ბერლუსკონისაც სურდა, თუმცა ყოფილმა მფლობელმა არჩევანი დომენიკოსა და სტეფანოზე შეაჩერა. როგორც შემდეგ გაამხილა, დიზაინერები პირველად ტელევიზორში ნახა და მათ მიმართ მაშინვე დიდი სიმპათიით განეწყო.

**VILLA OLIVIETTA სტეფანო გაბანას საკუთრებაა. ის გასული საუკუნის სამოციანი და ოცდაათიანი წლების სტილს აერთიანებს**

# სტეფანო გაბანას VILLA OLIVETTA

## ავანგარდი vs ტრადიციები

VILLA OLIVETTA-ს, რომელიც სტეფანო გაბანას ეკუთვნის, ხმელთაშუა ზღვაზე კერძო სანაპირო აქვს. მისი თანამედროვე იერსახე დევიდ ჩიპერფილდის დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელი არქიტექტორი მინიმალიზმის მოყვარულია, მან მაინც ბოლომდე გაითვალისწინა სახლის მფლობელის გემოვნება და 1960-იანი წლები გასული საუკუნის 20-30-იანი წლების სტილს შეუხამა. ანალოგიურად შეირჩა დეკორაციებიც – სასადილო ▶

**ვინაიდან სტეფანოს ძალიან უყვარს მცენარეები, ვილაში უამრავი ნარგავი ხარობს. მაგალითად ბაზილიკები, როზმარინები, ლავანდები და ქონდრებიც კმარა. აქ იელებს, ნემსიწვერებს, პეტუნიებსა და უამრავ სხვა ყვავილსაც გადაეყრებით. ტერასა, საიდანაც ბაღისა და ხმელთაშუა ზღვის ულამაზესი ხედები იშლება, სასადილო ოთახის ფუნქციებსაც ითავსებს. მეორე ფოტოზე აღბეჭდილია უზარმაზარი სარკე და სარკისებრი კედელი, რომელიც სასადილო ოთახს სასტუმრო ოთახისგან გამოყოფს.**

## ამ სიმდიდრის ყიდვა თავის დროზე სილვიო ბერლუსკონისაც უნდოდა, თუმცა ყოფილმა მფლობელმა არჩევანი დომენიკოსა და სტეფანოზე შეაჩერა. როგორც შემდეგ გაამხილა, დიზაინერები პირველად ტელევიზორში ნახა და მათ მიმართ მაშინვე დიდი სიმპათიით განეწყო

ოთახს სარკისებრი კედელი აქვს, შპალერს დიდი ყვავილები ამშვენებს, სკამები და შუშის მაგიდა მე-18 საუკუნისაა, ყველაზე თვალისმომჭრელი კი SWAROVSKI-ს თვლებით შექმნილი „მადრევანია“.

### მინიმალიზმი vs მრავალფეროვნება

არასტანდარტული ფორმის უზარმაზარი დივანი მთელი ოთახის ნახევარს იკავებს. მისი დიზაინი აფრიკულ მოტივებშია გადაწყვეტილი. ჭაღები ძველებურია. მე-18 საუკუნის ბუხარი სარკეებიან კედელშია ჩაშენებული, კედლებზე კი სხვადასხვა ნაწარმოების მონაკვეთები და რჩეული ფრაზები წერია. აქვეა ენდი უორჰოლის, კიტ ჰარინგისა და მარკ შაგალის ნამუშევრები.

სასადილო ოთახის სანათები მურანოულ და სიცილიურ ტენდენციებს აერთიანებს. მაგიდის გარშემო მდგომი ხის სკამები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. კედლები და იატაკი კი კერამიკისა და სარკის ნამტვრევებითაა მოპირკეთებული. გადავინაცვლოთ სტეფანო გაბანას საძინებელ ოთახში – აქ მე-18 ▶

**უზარმაზარი რბილი დივანი მთელი ოთახის ნახევარს იკავებს. მისი დიზაინი აფრიკულ მოტივებშია გადაწყვეტილი. ჭაღები ძველებურია. მე-18 საუკუნის ბუხარი სარკეებიან კედელშია ჩაშენებული, კედლებზე კი სხვადასხვა ნაწარმოების მონაკვეთები და რჩეული ფრაზები წერია. აქვეა ენდი უორჰოლის, კიტ ჰარინგისა და მარკ შაგალის ნამუშევრები. ქვემოთ სასადილო ოთახია. ხის მაგიდის გარშემო მდგომი სკამები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. კედლები და იატაკი კი კალტაჯირონეს კერამიკისა და სარკის ნამტვრევებითაა მოპირკეთებული. მარჯვენა ფოტოზე ჩანს ოთახი, რომელიც გასული საუკუნის სამოციანი წლების სტილშია გადაწყვეტილი. შპალერს დიდი ყვავილები ამშვენებს; სკამები და შუშის მაგიდა მე-18 საუკუნისაა, ყველაზე თვალისმომჭრელი კი Swarovski-ს თვლების „შადრევანია“.**

ზევით სტეფანო გაბანას საძინებელი ოთახია. მარცხენა ფოტოზე მე-18 საუკუნისდროინდელი სარკე ჩანს. ერთი კარი სააბაზანო ოთახში გადის. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელ სახლში ყველაზე მინიმალისტურ სტილში გაფორმებული ადგილია. რაც შეეხება სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახებს, ისინი ყურადღებას ფერებით იქცევენ. ერთ-ერთი მათგანი მთლიანად წითელშია გაფორმებული და აშკარად ეტყობა ჩინური ინსპირაციის კვალი. საწოლზე დაყრილ ბალიშებზე ჯიმ მორისონის გამოსახულებაა. სწორედ ამ მომღერალს მიუძღვნეს დიზაინერებმა ერთ-ერთი ცნობილი კოლექცია.

საუკუნის-დროინდელი უზარმაზარი სარკე და რელიგიური თემატიკის ნახატებია. კარი სააბაზანო ოთახში გადის. შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელ სახლში ყველაზე მინიმალისტურ სტილში გადაწყვეტილი ადგილია.

რაც შეეხება სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახებს, ისინი ყურადღებას ფერებით იქცევენ. ერთ-ერთი მათგანი მთლიანად წითელშია გაფორმებული და აშკარად ეტყობა ჩინური ინსპირაციის კვალი. საწოლზე დაყრილ ბალიშებზე ჯიმ მორისონის გამოსახულებაა. სწორედ ამ მომღერალს მიუძღვნეს დიზაინერებმა ერთ-ერთი ცნობილი კოლექცია.

## ოქროს ოთახი

ეჭვგარეშეა, რომ ოქროსფერი ოთახი ყველაზე თვალისმომჭრელია. აქ შემომავალი შუქი სხვადასხვანაირად ირეკლება და საოცარ ეფექტებს ქმნის. მოზაიკით მოპირკეთებული კედელი, საწოლი, იატაკი, ფანჯრის ჩარჩოები, სანათები, კარი და კომოდები – საძინებელში ყველაფერი ოქროსფერია. გამონაკლისია მხოლოდ სააბაზანოს ნიჟარა, რომელიც სპილოსძვლისფერშია გადაწყვეტილი. ასეთივეა ჯაკუზიც, რომლის ფანჯარა ხმელთაშუა ზღვას გადაჰყურებს. ვინაიდან სტეფანოს ძალიან უყვარს მცენარეები, ვილაში უამრავი ნარგავი ხარობს. მაგალითად ბაზილიკები, როზმარინები, ლავანდები და ქონდარიც კმარა. აქ იელებს, ნემსიწვერებს, პეტუნიებსა და სხვა ყვავილებსაც გადაეყრებით.

ვილის ყველაზე სასიამოვნო ნაწილი უზარმაზარი ტერასაა, რომელიც ხშირად სასადილო ოთახის ფუნქციებსაც ითავსებს და სტუმრებს თვალწარმტაცი ხედებით უმასპინძლდება. ▶

„ოქროს სასტუმრო ოთახში“ ყველაფერი ოქროსფერია – დაწყებული კედლებიდან, დამთავრებული იატაკით, ჭერით, დივნით, კარებითა და სააბაზანოთი

სტეფანოს ძალიან უყვარს მცენარეები, ვილაში უამრავი ნარგავი ხარობს. მაგალითად ბაზილიკები, როზმარინები, ლავანდები და ქონდარიც კმარა. აქ იელებს, ნემსიწვერებს, პეტუნიებსა და სხვა ყვავილებსაც გადაეყრებით

# დომენიკო დოლჩეს VILLA BIANCA

მთის მეორე კალთაზე, შუა ტყეში, დომენიკო დოლჩეს **VILLA BIANCA** ჩანს. აქვეა ლამაზი ტერასა, საიდანაც ხმელთაშუა ზღვის თვალწარმტაცი ხედი იშლება. ფოტოზე ყვითელ და თეთრ ფერებში შეღებილი ვილაც ჩანს. ის ღრუბლებში ჩაფლულ მთვარეს მოგაგონებთ, რის გამო უამრავ ტურისტულ ფოტოზეა დაფიქსირებული და მიმდებარე ტერიტორიის ყველაზე ცნობილ შენობად მიიჩნევა.

**VILLA BIANCA**-ს ინტერიერი მთლიანად ოქროსფერსა და ვერცხლისფერშია გაფორმებული, რაც არარეალურ ატმოსფეროს ქმნის და თითქოს სიზმრებში გამოგზაურებს. ამ ეფექტის სიმძაფრეს სარკისებრი კედლები და ნეონის განათებებიც აძლიერებს. მისაღები ოთახის თითქმის ნახევარს იკავებს არასტანდარტული ფორმისა და ზომის დივანი, რომელიც სხვა ოთახში თეთრი ფერით მეორდება. რაც შეეხება სავარძლებს, ისინი ბაროკოულ სტილსა და ლეოპარდის ტყავის ფერებშია გაკეთებული.

**ვერცხლისფერ და ოქროსფერ დეტალებს კიდევ უფრო მკვეთრად აჩენს არასტანდარტული ფორმის ნეონის განათებები. ამ ოთახების ინტერიერში ავანგარდული და ტრადიციული სტილი იდეალურად ერთიანდება**

სტეფანო გაბანასგან არც ისე შორს, მთის მეორე კალთაზე, დომენიკო დოლჩეს საყვარელი ვილა ჩანს. VILLA BIANCA უკეთესი ხედებით გამოირჩევა და უფრო საზაფხულო სტილშია აშენებული.

ეზოში მართკუთხედის ფორმის აუზია, რომლის კიდეებიც ხითაა მოპირკეთებული. ფასადი, რომელიც ბაღს გადმოჰყურებს, ყვითელ და თეთრ ზოლებშია შეღებილი. ეს იმიტომ, რომ მთაზე, ხეებში ჩაფლული ვილა ღრუბლებში დამალულ მთვარეს მოგაგონებთ. სახლი უამრავ ტურისტულ ფოტოზეა დაფიქსირებული და მიმდებარე ტერიტორიის ყველაზე ცნობილ შენობად მიიჩნევა.

## ვარსკვლავური ადგილი

ათწლეულების წინ, პორტოფინო, სადაც დომენიკოს ვილაა აგებული, უამრავ ვარსკვლავს ხიბლავდა. მაგალითად ლიზ ტეილორი, გრეის კელი და სოფი ლორენიც კმარა. ამ სოფლის მიმზიდველი იერსახე დღესაც არ შეცვლილა. სწორედ ამიტომაა, რომ მის ხშირ სტუმართა შორის მადონა, როდ სტიუარტი, ჰაიდი კლუმი და ბრიუს უილისიც არიან. რასაკვირველია, აქ იტალიურ ელიტასაც შეხვდებით.

## ვერცხლისფერი & ოქროსფერი

VILLA BIANCA-ს ინტერიერი მთლიანად ოქროსფერსა და ვერცხლისფერშია გაფორმებული, რაც უცნაურ ატმოსფეროს ქმნის და არარეალურ სამყაროში გამოგზაურებს. ამ ეფექტს სარკისებრი კედლები და ნეონის განათებებიც აძლიერებს. მისაღები ოთახის თითქმის ნახევარს იკავებს არასტანდარტული ფორმისა და ზომის დივანი, რომელიც სხვა ოთახში თეთრი ფერით მეორდება. რაც შეეხება სავარძლებს, ისინი ბაროკოულ სტილსა და ლეოპარდის ფერებშია გაკეთებული.

## სარკეებიანი საძინებელი

სასადილო ოთახის მაგიდა მუქი მინითაა შექმნილი და საშუალოდ 8-10 სტუმარს უმასპინძლდება. დიდი მომრგვალებული ფანჯრები ბაღს გადაჰყურებს. თეთრი მარმარილოს ბუხარზე ბაროკოს სტილის საათი დგას. როგორც ხედავთ, დომენიკოს სასადილო ოთახსა და სამზარეულოში სტეფანო გაბანას „ოქროსფერი დეკორი“ მეორდება.

VILLA BIANCA-ს საძინებელ ოთახამდე მარმარილოს კიბე ადის. საკმაოდ დიდი ზომის საწოლი, ისევე როგორც სავარძელი და ხალიჩა, შიშილას ბეწვითაა დაფარული. აქ „მთავარ როლში“ სარკეები „არიან“, რომლებსაც „მხარს უბამენ“ შავ-თეთრი ფოტოები და ბროლის თვლებით „შეკერილი“ ფარდები. რაც შეეხება საბანაო ოთახის ინვენტარს, ის გაბანას სტილს თითქმის სრული სიზუსტით იმეორებს.

**სასადილო ოთახისა და სამზარეულოს კედლები და იატაკი ოქროსფერი მოზაიკითაა მოპირკეთებული. ეს სტეფანოს ერთ-ერთი ოთახის დიზაინს ზედმიწევნით იმეორებს**

## „მოდის ღმერთები“

„სახლი შთაგონების უმრეტი წყაროა“, – ამბობენ დოლჩე და გაბანა, რომლებსაც სათავო ოფისი მილანში, მე-19 საუკუნის სტილში აქვთ აშენებული. აქ ისინი შემოქმედებითი გუნდის ერთგულ წევრებთან ერთად მუშაობენ. როგორც თვითონ ამბობენ, თანამშრომლებთან შინაურული ურთიერთობა აქვთ.

კომუნიკაბელური და ძალიან მხიარული ხასიათის დიზაინერები მუდმივად თანამშრომლობენ მადონასთან, ივანა ტრამპთან, სოფი ლორენთან... მათი ერთგული მომხმარებელი იყო უიტნი ჰიუსტონიც.

„მოდის მიდასები“ – ასე მოიხსენიებენ დომენიკოსა და სტეფანოს, რომლებსაც ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილი ღმერთის – მიდას მსგავსად, ყველაფრის „ოქროდ“ გარდაქმნა შეუძლიათ. მათმა ბრენდმა სულ ცოტა ხნის წინ აღნიშნა ოცდაათი წლის იუბილე. ასეთი ხანგრძლივი წარმატება კი მათი განსხვავებული გემოვნებისა და ჰარმონიული ურთიერთობის დამსახურებაა. „ჩვენი გემოვნება სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან“, – აღნიშნავს სტეფანო, – „მე სიჯრელე მიყვარს, დომენიკო კი უფრო დამჯდარ ტონებს ამჯობინებს; მე ექსპერიმენტები მიყვარს,

**სასადილო ოთახის მაგიდა მუქი მინითაა გაკეთებული და 8-10 სტუმარს უმასპინძლდება. დიდი, მომრგვალებული ფანჯრები ბაღს გადაჰყურებს. თეთრი მარმარილოს ბუხარზე ბაროკოს სტილის საათი დგას. მარცხნივ სამზარეულოა, საიდანაც კარი პირდაპირ ბაღში გადის. იქვეა ტერასაც, რომელიც სასადილო ოთახის ფუნქციებს ითავსებს.**

ის კი სხვადასხვა საკითხს უფრო სერიოზულად უდგება; გარდა ამისა, მე გადაწყვეტილებებს მომენტალურად ვიღებ, ის კი თითოეულ დეტალს უკვირდება – ასე ვავსებთ ერთმანეთს“.

## ზღაპრული სამყარო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოლჩესა და გაბანას ვილები სტრომბოლის კუნძულზეც აქვთ. საინტერესოა, რომ აქ მდებარე ვულკანი ჯერ კიდევ მოქმედია და დროდადრო მაგმასა და აირებს აფრქვევს. ეს არც დომენიკოსა და სტეფანოს აშინებთ და არც იქაურ მცხოვრებლებს. მათთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრობენ მიწაზე, რომელიც თავისი კლიმატით, სახლებითა და ადამიანებით ნამდვილ ოაზისს ემსგავსება.

დამატებითი კომფორტია ის, რომ კუნძული ჯერ მხოლოდ ახლა იწყებს ▶

**ზევით დომენიკო დოლჩეს „სარკის ოთახია“. საკმაოდ დიდი ზომის საწოლი, ისევე როგორც სავარძელი და ხალიჩა, შინშილას ბეწვითაა დაფარული. აქ „მთავარ როლში“ სარკეები „არიან“, რომლებსაც „მხარს უბამენ“ შავ-თეთრი ფოტოები და ბროლის თვლებით გაკეთებული ფარდები. ოთახამდე მარმარილოს კიბე ადის.**

ტურისტულ ცხოვრებას და სტრომბოლის ბინადრები ნაკლებად წუხდებიან მოულოდნელი სტუმრებით. „აქ სამი ჯადოსნური ელემენტი ერთიანდება: ცეცხლი, წყალი და მიწა“, – გვიმხელს დოლჩე და ამატებს, – „აქ ცხოვრება ნამდვილ ზღაპარს ჰგავს“.

**ტექსტი**: NATY ABASCAL
**ფოტო**: RICARDO LABOUGLE

idea
city

„ქალაქგარეთ ყოფნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნება მუდამ გვაოცებს. ჩვენ მის ცვლილებებს ფაქტობრივად ყოველდღე ვხედავთ“

ბრუტის საუიქენდო სახლი ქალაქგარეთ, ულამაზეს ადგილას მდებარეობს (ქვევით), თანაც მანჰეტენიდან სულ რაღაც 45 წუთის სავალზეა. „ეს ადგილი მშვენიერია წელიწადის ნებისმიერ დროს“, – ამბობს დიზაინერი (მარჯვნივ, თავისი რეტროსტილის ჩანთების გარემოცვაში. ჰეიმანის ქლათჩები ამჟამად „წითელი ხალიჩის“ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).

# ვარსკვლავების ხელჩანთების დიზაინერი ბრეტ ჰეიმანი და მისი ქალაქგარეთ მდებარე სახლი კონექტიკუტში

დეკორი 1950-იანი წლებით არის ინსპირირებული, რაც ჩემი სუსტი წერტილია“, – ამბობს ბრეტი, ვისი ხელჩანთებიც ამავე პერიოდს უკავშირდება.

მარჯვნივ: შემოსასვლელი, რომლის უკანა ფონზე ბადი მოჩანს; მარჯვნივ რკინის ანტიკური სკამია, მარცხენა გასასვლელს კი მთავარ შესადეგში შიჰყავხართ, რომელიც უკეთესად ზედა, ბოლო მარჯვენა ფოტოზე ჩანს.

## ტეილორ სვიფტი, მირანდა ქერი და კეიტ ჰადსონი ბრეტის Edie Parker ქლათჩების ფანები არიან. ჩანთებს სახელი დიზაინერის ექვსი წლის ქალიშვილის პატივსაცემად დაერქვა

ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან მირანდა ქერი, კეიტ ჰადსონი, კეტი პერი და ტეილორ სვიფტი ე.წ. „ქლათჩების“ ერთგული მომხმარებლები არიან. მათ ისეთი ხელჩანთები მოსწონთ, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში აშშ-ში დახვეწილ ქალბატონებს ეჭირათ ხელში. მყარი აკრილისგან მთის ბროლით მორთული ხელნაკეთი ჩანთები ბრენდით EDIE PARKER იყიდება. ეს ბრეტ ჰეიმანის ექვსი წლის ქალიშვილის სახელია.

უიქენდებს ბრეტის ოჯახი კონექტიკუტის სახლში ატარებს.

ბრეტ ჰეიმანი: „მე და ჩემი მეუღლე – გრეგი ადრე სახლს ლონგ-აილენდის აღმოსავლეთ სანაპიროზე THE HAMPTONS-ში ვქირაობდით ხოლმე, თუმცა ბავშვების დაბადების შემდეგ ვიფიქრეთ, რომ ეს მათთვის არცთუ უსაფრთხო იქნებოდა. ამიტომ ნიუიორკთან უფრო ახლოს მდებარე უბნის ძებნა დავიწყეთ და ეს ადგილი ვიპოვეთ, რომელიც მანჰეტენიდან 45 წუთის სავალზეა. შესანიშნავია! აქ თითქმის ყოველ უიქენდზე ჩამოვდივართ, ჩვენი შვილები მეზობელ ბავშვებს ეთამაშებიან. ქალაქგარეთ ყოფნა ჩვენთვის და პატარებისთვისაც ძალიან კარგია. ეს ადგილი მშვენიერია წელიწადის ნებისმიერ დროს. ჩვენი სახლი კი ძალიან მყუდროა. ამ ატმოსფეროს ყველაფერი ქმნის – კედლების ფერით დაწყებული, ავეჯით დამთავრებული. ავეჯი სპეციალური დიზაინით განტვირთვისთვის შეიქმნა. აქ შეგიძლიათ ფეხები დაასვენოთ ან საბანში გაეხვიოთ. დეკორი მე-20 საუკუნის შუა წლებით ▶

სამზარეულოს კუთხეში პატარა სასადილო მაგიდა დგას, რომელსაც ტრადიციული ვაშლის ღვეზელი ალამაზებს (ზევით). ქვევით: ძირითადი სასადილო ოთახი. სამზარეულოდან კიდევ ერთ მისაღებ ოთახში გახვალთ (მარჯვნივ). ბიბლიოთეკის კედელთან ბრეტის მეუღლის – გრეგის გიტარას დაინახავთ (ქვევით, მარჯვნივ).

**„ჩვენი სახლი ძალიან მყუდროა. ამ ატმოსფეროს ყველაფერი ქმნის – კედლების ფერით დაწყებული, ავეჯით დამთავრებული. ავეჯი სპეციალური დიზაინით განტვირთვისთვის შეიქმნა. აქ შეგიძლიათ ფეხები დაასვენოთ, ან საბანში გაეხვიოთ“**

არის ინსპირირებული, რაც ჩემი სუსტი წერტილია. ბავშვები, ედი და ოსკარი, აკეთებენ იმას რაც უნდათ. მათ ნებისმიერი ოთახის გამოყენება შეუძლიათ, არანაირი შეზღუდვები“.

„ყველაფერი ედით დაიწყო“, – იხსენებს ბრეტი, – „დეკრეტულ შვებულებაში ვიყავი. პატარას კი თითქმის მთელი დღე ეძინა. იმ დროს GUCCI-სთან ვმუშაობდი და სიმშვიდის მომენტებში ვფიქრობდი: „ახლა რა გავაკეთო? წელიწადში ექვსჯერ ისევ ვიარო იტალიაში? სახლს მოვწყდე რათა სხვადასხვა ღონისძიებას დავესწრო შტატების მაშტაბით? თუკი მომიწევს ამ პატარა ანგელოზის დატოვება, ეს უნდა ღირდეს ამად – ისეთი რამ უნდა იყოს, რაც ძალიან მიყვარს და ჩემთვის მნიშვნელოვანია – საკუთარი პროექტი, მაგრამ რა?“ მერე უცებ გაახსენდა, როგორ უყვარდა ყუთის ფორმის აკრილის ჩანთები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა

მოდური. მეტიც – ბრეტი თავად აგროვებდა ასეთ ჩანთებს და წიგნებსაც მათ შესახებ. შეუჩერებლივ რეჟიმში მუშაობას მიჩვეულმა, ბრეტმა სხვადასხვა წიგნის კითხვა დაიწყო და უცებ მიხვდა: „აი, ეს არის შანსი!“

„ვერ ვიტყოდი, რომ წინათგრძნობა მქონდა“, – ამბობს ბრეტი. „ზუსტად ვიცოდი რა მინდოდა. მოდის სფეროთი მთელი ცხოვრება ვიყავი დაინტერესებული, ჯერ კიდევ პატარა ასაკიდან, როდესაც ლოს-ანჯელესში საცხოვრებლად მამაჩემის სამსახურის გამო გადავედით. დედა VOGUE-ს იწერდა ხოლმე, მე კი ყოველთვის მინდოდა დიზაინერობა, მაგრამ ჩემი მშობლები ამას ხერიოზულ პროფესიად არ აღიქვამდნენ. ამიტომ კომუნიკაციები შევისწავლე, ბაფხულობით ინტერნად ვმუშაობდი და ვსწავლობდი რაც შეიძლებოდა მეტს იმ მიზნით, რომ სამსახურში ავეყვანე“. ▶

ბრეტისა და გრეგის საძინებელი (ზევით; ქვევით, მარცხნივ) ბაღის ტერასაზე გადის, ედის ოთახში კი (ქვევით, მარჯვნივ) 1960-იანი წლების კლასიკური სატელევიზიო სერიალის The Avengers-ის პოსტერს დაინახავთ. 800 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე სახლის დეკორი მარკ ქანინგჰემს ეკუთვნის. რალფ ლორენის ინტერიერზეც ამ უკანასკნელმა იზრუნა.

## „მოდის სფეროთი მთელი ცხოვრება ვიყავი დაინტერესებული – ჯერ კიდევ პატარაობიდან“

ბრეტი ჯორჯო არმანის VIP-განყოფილებაში მუშაობდა, სწავლის დამთავრების შემდეგ DOLCE&GABBANA-ში გამოსცადა თავი, ბოლოს კი GUCCI-ს PR-განყოფილების უფროსი გახდა... მუშაობისას მიღებულმა გამოცდილებამ დაანახა, თუ რა აკლდა ბაზარს, რადგან მისი საქმე იყო დაედგინა, რა იყო კონკურენტუნარიანი და რა – არა. ირგებდა რა ახალბედა დედის როლს, უცებ აღმოაჩინა, რომ თანამედროვე ქალებს ელეგანტური საღამოს ჩანთები არ ჰქონდათ.

„გადავწყვიტე შემექმნა ასეთი ჩანთების დიზაინი“, – იხსენებს ბრეტი, – „უპირველესად ვიფიქრე აღმედგინა რომელიღაც ძველი ქარხანა, რომელიც მსგავსი ჩანთების წარმოებით იყო დაკავებული, თუმცა რამდენიმე მცდელობის მიუხედავად ამ წამოწყებამ არ გაამართლა. მაშინ ვიფიქრე, რომ თავად უნდა გამეკეთებინა ყველაფერი. ეს მარტივი მეგონა. სინამდვილეში კი ძალიან რთული გამოდგა – არცერთი კომპანია არ დათანხმდა პროტოტიპების შექმნას, ყველამ თქვა, რომ ეს სულელური იდეა იყო. ბოლოს მივაკვლიე ისეთ კომპანიას, რომელიც ზუსტად ისე გააკეთებდა ყველაფერს, როგორც მე მსურდა – ტრადიციების დაცვითა და ხელით შესრულებული სამუშაოებით“.

თავისი სამსახურის წყალობით ბრეტს უამრავი საჭირო კონტაქტი ჰქონდა, მისი პირველი ნაბიჯი კი უნივერმაღების ექსკლუზიური ქსელი BARNEYS გახდა. „ძალიან მოეწონათ. ექსკლუზიური გაყიდვის უფლება მოითხოვეს და მეც შვებით ამოვისუნთქე, რადგანაც იმ ▶

**„სახლს ლონგ-აილენდის აღმოსავლეთ სანაპიროზე The Hamptons-ში ვქირაობდით ხოლმე, თუმცა ბავშვებისთვის იქ არცთუ უსაფრთხო იქნებოდა. ამიტომაც ვნახეთ ეს ადგილი... რომელიც სრულყოფილია“**

დროს უკვე ოსკარზე ვიყავი ორსულად და ნამდვილად არ შემეძლო კარდაკარ სიარული“.

ბრეტის შემდეგი ნაბიჯი VOGUE-ში მომუშავე მისი მეგობარი მოდის ჟურნალისტები იყვნენ, რომლებსაც მისი ჩანთები ასევე ძალიან მოეწონათ. მერე კი გაიმართა 2011 წლის METROPOLITAN-მეჯლისი.

„მეჯლისზე წასვლა კეიტ ჰადსონმა ჩემი ერთ-ერთი ჩანთით გადაწყვიტა“, – იხსენებს ბრეტი, – „ის ექვსი თვის ფეხმძიმე იყო და GIVENCHY-ის უმშვენიერესი კაბა ეცვა. ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. მისი და ჩემი ჩანთის ფოტოები ყველგან იყო. აი მაშინ დაიწყო ყველაფერი. „რასაკვირველია გასაკეთებელი ბევრი მქონდა, მაგრამ როგორც მამაჩემი ამბობდა, ამ გამოცდილებას ვერავინ წამართმევდა. ქლათჩები მართლაც კარგი პროდუქტი იყო, თუმცა მნიშვნელოვანი როლი ჩემმა კონტაქტებმა ითამაშა. ეს რომ არა, ყველაფერი გაცილებით რთული იქნებოდა“.

ბრეტს იმაშიც  გაუმართლა, რომ მისი მეუღლე ფინანსური ექსპერტია. სწორედ ის ეხმარება გაერკვეს და გააკონტროლოს ბიზნესის ფულადი მხარე. მათი ოფისები ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობს, ამიტომ გრეგი ყოველდღე ბრეტის გვერდითაა. გრეგიმ და ბრეტიმ ერთმანეთი 2005 წელს გაიცნეს და მას მერე არ დაშორებულან, ოფიციალური ურთიერთობა კი 2006 წელს გააფორმეს.

ბრეტი გრეგზე: „დიდი მოაზროვნე ვინმეა, ინტელექტუალია, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს. შესანიშნავი მამა და საუკეთესო მეუღლეა“. H

**ტექსტი**: VICTORIA DE ALCAHUD
**ფოტო**: CESAR VILLORIA
**დეკორი**: MARK CUNNINGHAM
**ვარცხნილობა და მაკიაჟი**: FABIOLA SEVIILLA

სამოსი: ROBERTO CAVALLI. MISSONI. MICHAEL KORS. FIGUE. NATASHA ZINKO

**სახლი, რომლის გარშემო ხეები და გვერდით ტბაა, ზღაპრულს ჰგავს (მარცხნივ). ბაღში (ქვევით) ედისა და მისი პატარა ძმის – ოსკარის გასართობებს ნახავთ.**

# HELLO! GEORGIA

## შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია

**იკითხეთ HELLO! მთელ მსოფლიოში**

სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე

ჩამოტვირთეთ ქართული **HELLO!** მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

Google play

Available on the App Store

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge

## სასახლე როკოკოს სტილში

# პრინცესა გლორია ფონ თურნ უნდ ტაქსისი

## შობის აღსანიშნად ემზადება



ეს უნიკალური კიბე, რომელიც ხელოვნების ნიმუშადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, სენტ-ემერამის ოთახებს ამშვენებს და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ სასახლეშია

## შთამბეჭდავი ბიბლიოთეკა ბაროკოს სტილის ერთ-ერთი უიშვიათესი ნიმუშია

ეს უნიკალური კიბე, რომელიც ხელოვნების ნიმუშადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, სენტ-ემერამის ოთახებს ამშვენებს და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ სასახლეშია. მას პრინცესა გლორია ფონ თურნ უნდ ტაქსისი განაგებს და დღემდე ზრუნავს იმაზე, რომ 1980-იანი წლების ყველაზე პოპულარული და მხიარული წვეულებებით ცნობილ ადგილს საინტერესო ღონისძიებები არ მოაკლდეს.

### პირადი დეტალები

გლორია ფონ თურნ უნდ ტაქსისი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ევროპული დინასტიის წარმომადგენელია. მისი მეუღლე პრინცი იოჰანესი იყო, რომელიც გერმანიის ყველაზე დიდებულ მამულს ფლობდა. როცა ის გარდაიცვალა, 30 წლის პრინცესამ – სამი შვილის დედამ – თავისი უძვირფასესი სამკაულები გაყიდა, რათა სასახლე გაყიდვისგან გადაერჩინა.

### ბავარიული სივრცე

კიბე, რომელიც ხელოვნების ნიმუშს უფრო მოგაგონებთ, საძინებელ ოთახებთან ადის. მისი ორნამენტები მოოქროვილია. თბილი ფერის კედლებზე ცნობილ ხელოვანთა ძვირ-

ეს ე.წ. „ბალმის ოთახია“, რომელიც თვალისმომჭრელ ბუხარსა და მე-19 საუკუნის ანტიკვარებს მოიცავს. აქვეა ოჯახური პორტრეტები და სხვადასხვა ძვირფასი ნახატი. ოთახის გაფორმებისას შთაგონების მთავარი წყარო მეფე ჯორჯ IV-ის ინგლისური სასახლე იყო.

ფასი კოლექციაა გამოფენილი. აქვეა იაპონელი და ჩინელი მოქანდაკეების ნამუშევრები. რაც შეეხება მაგიდებსა და სკამებს, ისინი ოჯახის უძველესი კოლექციიდანაა. წინა გვერდზე მომღიმარი პრინცესა გლორია სასადილო ოთახში პოზირებს.

## „ასამის ოთახი“

უზარმაზარი ბიბლიოთეკა ავსტრიელმა არქიტექტორმა – ჯოან მაიკლ პრანერმა დააპროექტა. როდესაც სასახლეში დასახლდნენ, ოჯახის წევრებმა როკოკოს ეპოქის ცნობილი წარმომადგენელი, მე-18 საუკუნეში მოღვაწე კოსმას დემიენ ასამი მიიწვიეს და მთლიანი ჭერი ფრესკებით მოახატვინეს. 1967-1969 წლებში ოთახს რესტავრაცია ჩაუტარდა და მას შემდეგ „ასამის ოთახი“ დაერქვა.

**ფოტო**: ANDREA SAVINI

გლორიამ სახელი თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა შეგროვებით გაითქვა. პრინცესამ თავისი კოლექციის ერთ სივრცეში თავმოყრა გადაწყვიტა და სასახლის გალერეის დეკორატორად ირლანდიელი გაბან ოკიფი მოიწვია. დღეს აქ ბასკიას, შნაბელის, მურაკამისა და სხვა ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებია გამოფენილი. სწორედ ამიტომაა, რომ გლორიას საყვარელ ადგილს „ახალი ექსპრესიონიზმის სკოლასაც“ კი უწოდებენ.

მოდის, ინტერიერისა და ბაღის დიზაინერი

# კეროლინ როეემი

## კონექტიკუტის ისტორიულ მამულში გვეპატიჟება

## უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშენებული მამული ჯადოსნურ ბაღებს, თავლებს, ჩოგბურთის კორტებსა და სტუმრებისთვის აშენებულ ხუთ კოტეჯს აერთიანებს

კეროლინმა წლები მიუძღვნა აღმოსავლეთ სანაპიროს ყველაზე ლამაზი სახლის მშენებლობას. ცნობილმა მწერალმა წარმატებას მოდის სფეროშიც მიაღწია. ის ლეგენდარულ ოსკარ დე ლა რენტას მარჯვენა ხელი იყო.

„ჩემთვის ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანია ვისწავლო, ვისწავლო და... ვისწავლო. სწავლას სიკვდილამდე არ შევწყვეტ“, – ეს სიტყვები ზუსტად ასახავს კეროლინ როემის ხასიათს. მოდის, ბაღისა და ინტერიერის დიზაინერი, ფოტოგრაფი, მწერალი და მხატვარი – ასეთია სახელგანთქმული ლედის პროფესიათა ჩამონათვალი. მისურიში დაბადებულმა კეროლინმა ყოველთვის იცოდა რა უნდოდა ცხოვრებისგან. „დედაჩემი მეხუმრება ხოლმე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული მანამდე ისწავლე, სანამ პირველ ნაბიჯებს გადადგამდიო“, – ღიმილით იხსენებს კონექტიკუტში მდებარე მამულის – WEATHERSTONE-ის დიასახლისი, – „იმასაც მეუბნება ხოლმე, რომ ხელოვნების სიყვარული გენებით გადმომეცა. ყველაფერი, რაც მიყვარს, ბებიაჩემისგან ვისწავლე – ბიტის საოცარი გემოვნება ჰქონდა და ეს ყველაფერს ეტყობოდა – დაწყებული დეკორაციებიდან, დამთავრებული ელეგანტური ჩაცმულო- ▶

### ისტორია ციფრებში

• კეროლინის მამული მთელ ამერიკაში Weatherstone-ის სახელითაა ცნობილი და დიდ ინტერესს იწვევს. მისი მშენებლობა 1765 წელს დაიწყო – „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიღებამდე 11 წლით ადრე. 1812 წელს შენობა კონექტიკუტის გუბერნატორმა დაიკავა. 1999 წელს კი, მას შემდეგ, რაც სახლი ცეცხლმა შეიწირა, როემმა მისი აშენება ხელახლა დაიწყო;

• კეროლინის ყოფილი მეუღლე – ჰენრი კრავისი, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მამაკაცად იქცა – 1988 წელს მან 25 მილიარდ დოლარად შეიძინა RJR Nabisco, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილეს კომპანიად მიიჩნეოდა;

• კეროლინს 12 წიგნი აქვს დაწერილი. მათი შინაარსი მებაღეობას, ინტერიერის დიზაინსა და გართობას ეხება. გაყიდულია 250 000-ზე მეტი ეგზემპლარი. მოდის ყოფილი დიზაინერი დღესაც საუკეთესოდ ჩაცმულ ქალბატონებს შორის მოიაზრება.

„ეს სახლი ჩემი „ტარაა“. აქაურობა ზუსტად ისე მიყვარს, როგორც სკარლეტ ო’ჰარას თავისი პლანტაციები უყვარდა“

**ხილის ხეები სახლის პეიზაჟს ორმაგად ამშვენებს (ზემოთ). აქვეა აუზი და ჩოგბურთის კორტები, რომლებიც იდეალურად ერწყმის სამოთხის მსგავს ბაღებს (ქვევით, და ქვევით, მარცხნივ). სახლი 1700 მეტრზეა გადაჭიმული და უზარმაზარ სვეტებზე დაყრდნობილ ელეგანტურ ტერასას მოიცავს (მარცხნივ).**

ბით. მისი დამსახურებით 13 წლისამ უკვე ვიცოდი, რომ მოდის დიზაინერობა მინდოდა“.

კეროლინის მშობლები მასწავლებლები იყვნენ და შვილს ყოველთვის ეხმარებოდნენ, კვალიფიცირებული პროფესიონალი გამხდარიყო. ვაშინგტონის უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მომავალი დიზაინერი საცხოვრებლად მანჰეტენზე გადავიდა და ორი საქმიანი შეთავაზება მიიღო: „ავირჩიე ის, რომელიც უფრო საინტერესოდ მომაჩნდა – Miss Polyester Sportswear. ვიცოდი, ასე წინ ვერ წავიდოდი, მაგრამ მიღებული ხელფასით გადასახადების გასტუმრებას და საკუთარი თავის შენახვას მაინც შევძლებდი. ვცდილობდი ჩემს ოცნებასთან ახლოს მივსულიყავი და ოსკარ დე ლა რენტასთან მემუშავა. ის ჩემი კერპი იყო“, – იხსენებს როემი, – „მოდის იმ სახლის ხელმძღვანელმა, რომელსაც უარი ვუთხარი, პირდაპირ მკითხა, რას მოვითხოვდი. ვუთხარი, რომ ოსკარ დე ლა რენტასთან მუშაობა მინდოდა. გავიხსენე, რომ მას შემდეგ, რაც ლორენ ჰათონი პირველად ვნახე დიზაინერის ვარდისფერ კაბაში, მასთან შეხვედრა ჩემს ოცნებად და მთავარ მიზნად გადაიქცა. როცა ჩემმა მოსაუბრემ შენიშნა, რამდენად მონდომებული ვიყავი, მითხრა, რომ ოსკარის პარტნიორებს იცნობდა და ჩემი დახმარება შეეძლო“.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ კეროლინი თავის კერპს შეხვდა. შეხვედრამდე შეყვარებულის ნაჩუქარი YWES SAINT LAURENT-ის ქვედაბოლო, სვიტერი, ზამშის ჩექმა და შალის კაშნე მოირგო და ოსკარ დე ლა რენტასთან უნაკლოდ ჩაცმული გამოცხადდა. მას საკუთარი დიზაინი წარუდგინა და ზრდილობიანი პასუხიც მიიღო: „სიმართლე გითხრათ, ასისტენტი არ მჭირდება, მაგრამ მაინც დავფიქრდები. ორშაბათს შემეხმიანეთ“. ეს, რასაკვირველია, კულტურულად ნათქვამი უარი იყო, მაგრამ როემმა მაინც დარეკა. „მისმა პარტნიორმა მითხრა, რომ ბატონ ოსკარს ძალიან მოეწონა ჩემი ხასიათი და სწორედ ამიტომ სამსახურში ავყავდი“, – იხსენებს კეროლინი, რომელსაც ▶

**ბაღში უამრავი ყვავილია. ბევრი მათგანი მხოლოდ სილამაზისთვისაა დარგული და არასოდეს იკრიფება. ზოგიერთს კი კეროლინი თაიგულებისა და დეკორაციებისთვის იყენებს.**

**მას შემდეგ, რაც სახლი ხანძარმა იმსხვერპლა, კეროლინმა ყველაფერი ნულიდან დაიწყო: „მთელი ინტერიერი ჩემი გემოვნებით გავაფორმე, თანაც ისე, რომ შენობის მთავარი ღირებულებები არ დამიკარგავს“**

**Weatherstone-ის მთავარი საცხოვრებელი ფართი 300 კვადრატულ მეტრს მოიცავს და სავსეა ანტიკური სიმდიდრით. აქ მე-17 საუკუნის ჩინური ლარნაკებიც დგას (მარჯვნივ). კეროლინმა, რომელიც ფოტოზე Ralph Lauren-ის სამოსში პოზირებს, სახლისთვის ლუი XVI-ის მაგიდა შეიძინა (მარცხნივ).**

ამ მომენტზე ემოციების გარეშე საუბარი დღესაც არ შეუძლია. როემისა და დე ლა რენტას მეგობრობა დიზაინერის სიკვდილამდე გაგრძელდა (2014 წლის ოქტომბერი). ათი წლის განმავლობაში მის მარჯვენა ხელად მიიჩნეოდა.

„ოსკარი დიდებული ადამიანი და ისტორიული ფიგურა იყო. ყველაფერი მან მასწავლა. მისი დახმარებით სულ სხვა სამყარო აღმოვაჩინე“, – ამბობს ჩვენი მასპინძელი, რომელმაც საქმიანობა დამოუკიდებლადაც განაგრძო და საკუთარი მოდის ხაზი შექმნა, – „მაშინ დე ლა რენტას ახალ ხაზზე ვმუშაობდი. პარასკევი დღე იყო, საღამოს ექვსი საათი. მოდის კვირეული სრულდებოდა. მიხვდი, რომ თავი ან მაშინ უნდა წარმომეჩინა, ან არასოდეს. სწორედ ამიტომ, მხოლოდ რვა მოდელის დახმარებითა და ყველა ახლობლის თანადგომით, პირველი ჩვენება გავმართე. ჩემი ნამუშევრები 600-ზე მეტმა ადამიანმა ნახა! ძალიან ვინერვიულე, მაგრამ მიღებულმა შეფასებებმა მოლოდინს გადააჭარბა. შეიძლება კოლექციით არც აღფრთოვანებულან, მაგრამ ჩემს გამხნევებას ცდილობდნენ და დამარწმუნეს, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო“.



**„დედაჩემი მეხუმრება ხოლმე, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული მანამდე ისწავლე, სანამ პირველ ნაბიჯებს გადადგამდიო“, – იხსენებს კეროლინი. აღსანიშნავია, რომ Manolo Blahnik-მა ერთ-ერთ ფეხსაცმელს სახელი სწორედ მის პატივსაცემად დაარქვა**

კეროლინმა, რომელსაც ფოტოზე Hervé Leger-ის სამოსი ამშვენებს, საძინებელი ოთახი ბოჰემურ სტილში გააფორმა (ბევით, მარცხნივ). ეს დიდებული სარკე დანიაში, მე-18 საუკუნეშია შექმნილი. მარცხნივ დიზაინერის გამოსაცვლელი ოთახია. მეორე ფოტოზე კი მისი თაიგულიც ჩანს.

წარმატება მალევე მოვიდა: მომავალმა მეუღლემ – ჰენრი კრავისმა, კეროლინის ბიზნესში 500 000 დოლარი დააბანდა. ასე დაიწყო ახალი ბრენდის ზრდა. ყველაფერი კიდევ უფრო წინ წავიდა, როცა ჰენრიმ ცნობილი RJR NABISCO შეიძინა და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მამაკაცად გადაიქცა. „როცა მე და ჩემი მომავალი მეუღლე შევხვდით, მისი ბიზნესი სულ რაღაც სამ წელიწადს ითვლიდა. ძალიან მოულოდნელად აღმოვჩნდით სრულიად განსხვავებულ განზომილებაში. ორივე ჩვენგანის საქმიანობა საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. შემდეგ კი ტრაგედია მოხდა – ჰენრის შვილი, 19 წლის ჰარისონი, ავარიაში დაიღუპა. ყველაფერი მივატოვე ჩემი ქმრის გვერდით რომ ვყოფილიყავი. ამ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, ჩემში რაღაც ჩაკვდა“, – ყვება კეროლინი, რომლის ქმარმაც ამხელა ტკივილს ვერ გაუძლო და ძალიან შეიცვალა. ქორწინება დას- ▶



**ზევით ჩინური საძინებელი ოთახი ჩანს. კიბეს, რომელსაც მე-18 საუკუნის ჰოლანდიური ჭაღი ანათებს, ამავე საუკუნის შთაგონებით გაფორმებულ ოთახამდე ავყავართ (ქვევით).**

რულდა. როემმა კი გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობები ახალი მიმართულებით გამოეცადა: „საშინელი პერიოდი იყო. როგორც ყოველთვის, მაშინაც ოსკარმა მანუგეშა და მითხრა: „კეროლინ, მამაკაცებიცა და მეგობრებიც მოდიან და მიდიან. ერთადერთი, რისი თან წაღებაც არ შეუძლიათ, შენი ნიჭი და პროფესიონალიზმია“. სწორედ ამ სიტყვების შემდეგ დავიწყე სწავლაზე ფიქრი და გამოცდები ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩავაბარე. იქ შექსპირის შემოქმედება შევისწავლე. არავინ არაფერი იცოდა ჩემი ან ჩემი მეუღლის შესახებ და ეს საოცარ შვებას მგვრიდა“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კეროლინი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, სადაც მებაღეობისა და მეყვავილეობის შესწავლა დაიწყო. პედაგოგად ცნობილი ფლორისტი – ჰენრი მულიე აირჩია. გარკვეული ხნის შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა და პირველ მასწავლებელს – ბებიას მიაკითხა: „სწორედ მან ჩამინერგა სიყვარულის უნარი. მანვე შემაყვარა ჩვენი მამული. ეს ადგილი ჩემი „ტარაა“. აქაურობა ზუსტად ისე მიყვარს, როგორც სკარლეტ ო'ჰარას თავისი პლანტაციები უყვარდა. აქ არის ჩემი ნამდვილი სახლი – ადგილი, რომელსაც ყოველთვის სიხარულით ვუბრუნდები“.

სკარლეტის მსგავსად, სახლი კინაღამ კეროლინმაც დაკარგა: „1999 წლის 21 იანვარი იყო. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. გამომცემელ ჰარპერ კოლინსთან ვიყავი რაღაც საქმეზე. იქიდან რომ გამოვედი, ჩემმა მძღოლმა მითხრა, რომ WEATHERSTONE-ი ცეცხლში იყო გახვეული.

**„მაშინ, როცა წიგნის გასაფორმებლად ყვავილების ფოტოებს ვიღებდი, თვალი ამეხილა და სამყარო სხვაგვარად დავინახე. დანახვასთან ერთად, მისი აღქმაც ვისწავლე“**

**შორი ხედით გადაღებულ ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ შეუხამა კეროლინმა ერთმანეთს ბოსტნეულისა და ყვავილების ნარგავები (ზევით). დიასახლისს ხატვაც უყვარს და ამას საუკეთესო მედიტაციად მიიჩნევს (მარჯვნივ).**

სუნთქვა შემეკრა. ვერ ვიჯერებდი. რვა სახანძრო ბრიგადა მოვიდა და ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. სამწუხაროდ, ჩემი სახლისგან მხოლოდ უზარმაზარი შავი ლაქა დარჩა“.

თუმცა, 1765 წელს აშენებული ისტორიული სახლის საფუძველი გადარჩა და კეროლინმა ამ ნარჩენებზე ყველაფრის ხელახლა აშენება დაიწყო. ამაში ისტორიული შენობების სპეციალისტი და არქიტექტორი – ალან გრინბერგი დაიხმარა. „კიდევ ერთხელ მოხდა ისე, რომ ტრაგედია ნამდვილ ბედნიერებად გადამექცა“, – იხსენებს როემი, – „მთელი ინტერიერი ჩემი გემოვნებით გავაფორმე, თანაც ისე, რომ შენობის მთავარი ღირებულებები არ დამიკარგავს“.

დიასახლისმა გაფართოებისა და ბაღის მოშენების პერსპექტივაც გამოიყენა. დღეს სახლს უზარმაზარი ყვავილების გარემოცვა ამშვენებს. არის ყვავილები, რომლებიც არასოდეს იჭრება და ყვავილები, რომლებიც დეკორაციებისა და თაიგულებისთვის გამოიყენება. როგორც დიასახლისი აღნიშნავს, მათი მოვლა ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს: „ეს ბაღი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ოქსფორდიდან დაბრუნების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ყვავილების შესახებ წლების განმავლობაში არაფერი დაწერილა. არც აგენტები მყავდა, არც გამომცემლებს ვიცნობდი და არც გამოცდილება გამაჩნდა, მაგრამ წიგნის დაწერა მაინც გადავწყვიტე“. აი, ასე დაიწყო მწერლის კარიერა. დღეს კეროლინის წიგნების 250 000-ზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული. ბოლოდ-როინდელ, მეთორმეტე ნამუშევარს AT HOME IN THE GARDEN ჰქვია. „მაშინ, როცა წიგნის გასა-ფორმებლად ყვავილების ფოტოებს ვიღებდი, თვალი ამეხილა და სამყარო სხვაგვარად დავინახე. დანახვასთან ერთად მისი აღქმაც ვისწავლე“, – იხსენებს კეროლინი, – „მას შემდეგ, რაც ყვავილები დავრგე, ავაყვავე, წიგნებში აღვწერე და ფოტოებზე აღვბეჭდე. გადავწყვიტე მათი დახატვაც მეცადა. აშკარაა, რომ მხატვრობის სურვილი გვიან გამიჩნდა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ საღებავებით ხატვა ჩემთვის მედიტაციის ტოლფასია. თანაც ეს კიდევ ერთი საშუალებაა იმისთვის, რომ არ შევწყვიტო ყველაზე მთავარი – სწავლა“.

**ტექსტი**: VICTORIA DE ALCAHUD
**ფოტო**: CESAR VILLORIA
**თმა და მაკიაჟი**: FABIOLA SEVILLA

# შატო მუხრანი

## ფრანგული სტილის სასახლე, რომელიც ქართული არისტოკრატიის უნიკალურ ისტორიებს ინახავს

ბევრი ფაქტი ადასტურებს, რომ საქართველოში ინტერიერის დიზაინს ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მაგალითებად ის სასახლეებიც კმარა, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო და მნახველებს დღესაც პირვანდელი იერსახით აკვირვებს. მათზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ „შატო მუხრანს“. საინტერესო დიზაინით, ისტორიული წარსულით, თანამედროვე დეტალებითა და ჯადოსნური აურით მდიდარი შენობა, რომელშიც HELLO! გამოგზაურებთ, მე-19 საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნიმუშია.

სასახლის უახლესი ისტორია მე-19 საუკუნეში იწყება. „შატო მუხრანი“ 12 წლის განმავლობაში შენდებოდა. მის იერსახეზე ფრანგი არქიტექტორები ზრუნავდნენ. ალბათ სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ფრანგული დახვეწილობა და არისტოკრატიული სული სასახლეს დღემდე ეტყობა. ასეთივე ამაღლებული განწყობის მატარებელია ბაღი, რომელიც ვერსალის მებაღემ დააპროექტა. გასაკვირი არც არის, რომ 1887 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მშენებლობა დასრულდა, ივანე მუხრანბატონის სასახლე კულტურის ცენტრად გადაიქცა და ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოეტებისა და ელიტის წარმომადგენლების საყვარელი ადგილი გახდა.

უზარმაზარი სიმწვანით გარშემორტყმული სასახლე საიდუმლოს შიგნითაც ინახავს. ეს მისი მარნები და სარდაფებია, რომელთა პირვანდელი იერსახე სრულად არის აღდგენილი და დამთვალიერებლებს ღვინის ანტიკურ სამყაროში ამოგზაურებს. ასეთივე ინტერიერით გამოირჩევა „შატო მუხრანის“ რესტორანი „სამეფო მარანი 1878“, რომელიც ყველა სტუმარს პრემიალური ღვინითა და მრავალფეროვანი მენიუთი უმასპინძლდება. ძველი აგურით ნაშენ მარანში, რომელიც ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, სრულადაა შენარჩუნებული მე-19 საუკუნის დიზაინი.

„შატო მუხრანი“ ძველი ტრადიციებისა და თანამედროვე კულტურის შერწყმის საუკეთესო მაგალითია. არისტოკრატების შეკრების უძველესი კერა დღესაც სიამოვნებით მასპინძლობს ყველას, ვისაც დროში მოგზაურობა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებების მიღება სურს. მომსახურე პერსონალი მაქსიმალურად ზრუნავს იმაზე, რომ თითოეულმა სტუმარმა თავი სამეფო ოჯახის ნამდვილ წარმომადგენლად იგრძნოს. სასახლის ისტორიული კედლები კი დღესაც დაუფარავად ამხელს ყველა იმ საიდუმლოს, რომელიც განვლილმა 130-მა წელმა შემოინახა.



**ტექსტი:** ეკატერინე მარგველაშვილი; **ფოტო:** „შატო მუხრანი“.

Ricardo Sanz

ესპანელი პორტრეტისტი

Etere Agency

+995 577 12 22 08

# სასტუმრო მუზეუმი

## ქართული სასახლე მე-19 საუკუნიდან საინტერესო დეტალებითა და ორიგინალური ინტერიერით

იმისათვის, რომ ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის ქართული მხარე საუკეთესო კუთხით გაიცნოთ, HELLO! ახლად გახსნილ „სასტუმრო მუზეუმში“ გამოგზაურებთ. საინტერესოდ მოწყობილი გარემოთი მან უკვე დიდი მოწონება დაიმსახურა.

„სასტუმრო მუზეუმის“ შენობა საუკუნეების წინ ქართველ დიდგვაროვანსა და მწერალს – ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნოდა. მოგვიანებით თავადმა გადაწყვიტა სასახლე ქალიშვილისთვის ეჩუქებინა. მაიკო ორბელიანის სასიყვარულო თავგადასავლმა კი ამ ადგილს დანიშნულება შეუცვალა და შენობა ქართველი არისტოკრატების შეკრების ადგილად და სიყვარულისა და ფუფუნების კერად გადააქცია.

„სასტუმრო მუზეუმის“ მშენებლობისას მე-19 საუკუნის იერსახე მაქსიმალურად შეინარჩუნეს. ამაზე არქიტექტორმა დარეჯან შათაშვილმა იზრუნა. შენობის დიზაინი ხუთ ფერშია გადაწყვეტილი და თავადაც შენიშნავთ, რომ ეს ფერები ერთმანეთთან იდეალურადაა შეხამებული.

აღსანიშნავია, რომ ინტერიერის დიზაინერმა – ნინო არზიანმა, საფუძვლიანად გამოიკვლია იმ პერიოდის ინტერიერი და მე-19 საუკუნის სტილზე დაყრდნობითა და დიმიტრი ერმაკოვის ფოტომასალის გამოყენებით, „სასტუმრო მუზეუმის“ თავდაპირველი იერსახე შექმნა. არქიტექტორ-დიზაინერმა ნინო მშველიძემ კი ინტერიერი გემოვნებიანი დეტალებით გაათანამედროვა.

შედეგად, სასტუმროს ინტერიერში მასიურადაა გამოყენებული მარმარილო, ხე და ნატურალური მასალები, რომლებიც თანამედროვე სტილშია გადაწყვეტილი. აქტუალურია თითბერიც, რომელიც გარემოს თავისებურად ამდიდრებს. მოზაიკა, რომელსაც შენობაში შეხვდებით, მთლიანად ხელითაა მოპირკეთებული. მრავლადაა სარკეებიც, რომლებიც სივრცეს ზრდის და ნივთებს ვიზუალურად უფრო ლამაზად წარმოაჩენს. განსაკუთრებით საინტერესოა დაძველებული სარკე, რომელიც სასტუმროს მთავარ ღირსშესანიშნაობასა და სახასიათო კუთხეს წარმოადგენს.

„სასტუმრო მუზეუმში“ მოგზაურობისას აუცილებლად შენიშნავთ დეტალების მრავალფეროვნებას, თითოეული ნივთის საინტერესო დანიშნულებასა და იმ მისტიკას, რომელიც მე-19 საუკუნეში გამოგზაურებთ. აქ ყოფნისას მიხვდებით, რომ სილამაზე მართლაც დეტალებშია...



**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი; **ფოტო:** „სასტუმრო მუზეუმი“.

# SIRAJKHANA

*wine restaurant*

## Original Georgian - Persian Cuisine

The place, where you can discover original food & finest Georgian and international wine varieties.

*wine restaurant*

Orbeliani st. 10, Tbilisi, Georgia

+995 322 244 999

# რიქსოს ბორჯომი

## ინტერიერის თანამედროვე დიზაინი და ექსკლუზიური დეტალები

საქართველოში თანამედროვე დიზაინის სასტუმროების მრავალფეროვანი არჩევანია. თუმცა მათ შორის უდავოდ გამორჩეულია „რიქსოს ბორჯომი“, რომლის ინტერიერს თანამედროვესთან ერთად ექსკლუზიური დეტალებიც ამშვენებს...

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ლიკანის ისტორიული და ყველაზე პოპულარული სანატორიუმის ტერიტორიაზეა აშენებული. სუფთა და სამკურნალო ჰაერზე, 43 ჰექტარზე გაშლილ ულამაზეს წიწვოვან ტყე-პარკში მდებარე „რიქსოს ბორჯომის“ სპეციალურად შექმნილი ინტერიერი უნიკალური და დახვეწილია. მთებში მოქცეული თანამედროვე სტილში გადაწყვეტილი სასტუმროს ყველა ოთახიდან ულამაზესი ხედი იშლება, რაც სტუმრებს დასვენებისთვის მშვიდ და მყუდრო გარემოს უქმნის.

„რიქსოს ბორჯომს“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გამოარჩევს – მის დიზაინში გამოყენებული ორიგინალური აქსესუარები და ნატურალური მასალისგან დამზადებული ავეჯი სპეციალურად სასტუმროსთვის შეიქმნა. ასეთივე ექსკლუზიური და დახვეწილი დეტალებითაა გაფორმებული სპაცენტრი, რომელიც სრულყოფილი დასვენებისა და განტვირთვისთვის იდეალური არჩევანია. სტუმრებს აქ მინერალური წყლისა და რძის აბაზანებს, სხვადასხვა სახის მასაჟსა და უნიკალურ სარელაქსაციო პროცედურებს სთავაზობენ.

რაც შეეხება დიდ საცურაო აუზს, მისი უზარმაზარი ვიტრაჟებიდან დაუვიწყარი ხედი იშლება. ამ საოცარ პეიზაჟთან კი იდეალურადაა შეხამებული ინტერიერის ელემენტებიც.

„რიქსოს ბორჯომის“ ექსტერიერიც ისეთივე ჯადოსნურია, როგორიც მისი ინტერიერი. სასტუმროს პარკში ხელუხლებლადაა შენარჩუნებული უნიკალური ასწლოვანი მცენარეები. აქვეა რომანოვების სასახლეც, რომელიც სტუმრებს დროში მოგზაურობის შესაძლებლობას აძლევს. ჯანსაღ და დახვეწილ გარემოში მოქცეული სიძველეებისა და თანამედროვე დეტალების სინთეზი კი დაუვიწყარი მოგონებების გარანტიაა.

**ტექსტი:** ეკატერინე ბარბალიტაშვილი; **ფოტო:** „რიქსოს ბორჯომი“.

Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com

FITNESS

# სითი ფიტნესი

## ინტერიერი, რომელიც ვარჯიშს ამარტივებს

საქართველოში იშვიათად შეხვდებით ფიტნესდარბაზს, რომელიც ინტერიერის დიზაინით გაგაოცებთ. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია „სითი ფიტნესი“, რომელიც მომხმარებელს ჯგუფური ვარჯიშებისა და განტვირთვისთვის საუკეთესო გარემოს სთავაზობს

ფიტნესკლუბის მთავარი პრიორიტეტები მომსახურების მაღალი ხარისხი, პროფესიონალიზმი და ინდივიდუალური მიდგომებია. აქ სტუმრებს შესაფერის სივრცეს უქმნიან იმისათვის, რომ სხეულის საუკეთესო ფორმა შეიძინონ და დასახულ მიზნებს მარტივად მიაღწიონ.

რაც შეეხება ინტერიერს, აქ აშკარად გამოკვეთილია ხის დახვეწილი დიზაინი და ნათელი ფერები, რომლებიც მსუბუქ, ჰარმონიულ აურას ქმნის. სპორტდარბაზის თეთრ კედლებზე მოტივაციის ასამაღლებელი ფრაზები იკითხება, რაც კიდევ უფრო დიდ სტიმულსა და პოზიტიურ განწყობას განაპირობებს. აღსანიშნავია მოზაიკით მოპირკეთებული საშხაპეები და ორთქლის არომა-საუნაც, რომელიც თითოეული მომხმარებლისთვის დამატებითი კომფორტი და სიამოვნებაა. ამავე მიზანს ემსახურება კომპლექსში არსებული მაღალი ხარისხის სავენტილაციო, აუდიოსისტემები და მასაჟის კაბინეტებიც.

წითელი ჟალუზები, რომლებიც **„სითი ფიტნესის“** სხვადასხვა სივრცეს ამშვენებს, პოზიტიური მუხტის ამაღლებასა და ენერგიის გაუმჯობესებას ემსახურება. ნათელი ფერები ასეთივე ნათელ განწყობას ქმნის და ნებისმიერი სახის ვარჯიშს ერთიორად ახალისებს.

**„სითი ფიტნესის“** მომხმარებლებს სპეციალური ბარი და ტერასაც ემსახურებათ. მათთვის განკუთვნილია შეზლონგები, რომლებიც მზიან ამინდებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. აქვეა მოწყობილი მყუდრო კაფე-ბარი, რომელიც კომპლექსის სტუმრებს გაგრილებასა და დასვენებაში ეხმარება. რაც შეეხება შიდა ბარს, აქ სიმყუდროვე უფრო მეტად იგრძნობა.

**რაც მთავარია**, ამ საოცარ ინტერიერში ფიტნესაქტივობები ორმაგად სასიამოვნო და სახალისო ხდება. აქ ჯგუფურად ვარჯიშობენ **მატ-პილატესში, იოგაში, ტაბატაში, სტეპ-აერობიკაში, ფიტნესცეკვებში**, ე.ნ. **Body Work**-ში, **Cross Fit**-ში, **Fit Fight**-სა და **ფიტნესის სრულ პროგრამაში**. ასე რომ, **„სითი ფიტნესის“** შემთხვევაში თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯანსაღ გარემოში ჯანსაღი სულია.

**ტექსტი:** ეკატერინე მარგველიანი; **ფოტო:** „სითი ფიტნესი“

ოფიციალური წარმომადგენელი

**„ნატალი ჯგუფი“**

**www.nataligroup.ge**

# ჩვენ ვაშენებთ
# თქვენს ოცნებებს

Grupo Las Rosas

INTERNACIONAL

grupolasrosasinternacional.com